

F-51  
1919

Digitized by eGangotri

# शिक्षण





# უიწაარსი.

ჟურნალ „ჯეჯილისა“.

I საქართველოს დამფუძნებელი კრება, სურათი . . . . .	2
II აქა, აქა! ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	3
III რამ ათქმევინა ტყუილი! ტასოსი . . . . .	4
IV ჭია-ღუების მტერი . . . . .	6
V ლიკლ-ტიკლის ეშმაკობა.. სანთლის ბავში —ტასოსი. 8	
<hr/>	
VI მინდა ყველა გავაბედნიერო თარგმანი ან. წერეთლისა. 16	
VII ნორჩი ყვაფილის ამონაკვნესი ლექსი ვ. მასხულისა. 24	
VIII კოწო და მისი ამხანაგები. ჩრდილოეთის ძაღლები ან. წერეთლისა. . . . .	26
IX მზეთ უნახავი. სამ მოქმედებიანი პიესა (დასასრული) გადმოკეთებული ვ. გუნიასაგან . . . . .	35
<hr/>	
X მწყემსი ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	47
XI ძველ კოშკში. თარგმანი მ. იაშვილისა . . . . .	48
XII ტანვარჯიში (გიმნასტიკა) გიორგი ნიკოლაძე, . . . . .	57
XIII ლუარსაბ ბოცვაზე (1865 —1919 წ.) —ა—ა. . . . .	60
XIV ინდოელი იგავები . . . . .	63
XV ამოცანები. (წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილის მიერ) 64	

## ჟურნალი „ჯეჯილი“

1919 წელს.

გამოვა არა ნაკლებ 6 ნომრისა, რადგან ძნელი პირობების გამო რედაქცია ვერ შესძლებს სრულად დააკმაყოფილოს ხელის მომწერლები. ჟურნალი „ჯეჯილი“ წლიურათ, ეღირება 20 მ.

ცალკე ახალი ნომრის ფასი 5 მ. ძველი წლების ნომრები თითო წლისა—10 მ.



# საქართველო ნახატებიანი შურნალი

იზარდუ, მწვანე ჯეჯილო,  
დაპური, გახდი ყანაო  
ი. დ.

თებერვალი, შარტი და აპრილი 1919 წ.

გაგრძელება 1918 წ.

წელიწადი ოცდამეათე




#  
F-5826

თბილისი

საქართველოს რკინის გზის ტიპო-ლიტოგრაფია

1919



# საქართველოს დამფუძნებელი კრება

(სასახლეში 12 მარტს, 1919 წ.)

# აქა, აქა!



ქა, აქა, გენაცვალე,  
გამასწარე, ჩემო შვილო;  
კაჭკაჭივით მოტიკტიკემ,  
მერცხალივით ფრთა-გაშლილო!

---

გამოიქე, გამოიქე,  
ჩამეხუტე, გულო, გულში,  
დამავიწყე გასაჭირი  
შენს ალერსს და სიუვარულში!

---

მოდო, მოდო, მოფაცუბცდი,  
მოფარუკდი, ჩემო შვილო;  
მომეხვიე ორივ სელით,  
მალსასო და ფრთა-გაშლილო!

გ. ქუჩიშვილი.



# რაჲ ათჳმეჳინა ტყუილი!



ამთრის სუსნიანი დილას; თოვს  
კიდევ. მაგდა მივიდა დაწაბე-  
ბის განსაღებათ. დილასადრინათ  
ხალსი მის ჰურის მადასიას  
მიაწვეება ხოლმე, რადგან აქმე-  
ტათ გემრიელ ჰურს ჰჳიდინ. მერე რა თეთრი,  
დაბრწული ჰურია, ეველას, ამ უზურობის დროს,  
ზირში ნერწვევი მოსდის.

— შვილო, ნუ მიძლი, მომცილდი, ეუბნება ის  
თავის ჰატარა გოგონას, უკვე გამძლარს, რომელიც  
დედის კალთას ჩასჭიდებია.

მაგდა ეველას უწონის ჰურს. თორმეტი წლის  
უფროსი გოგონა შველის. სძირათ ქმარიც დასედავს  
ხოლმე. ის ტრიალებს ფურნეში და წამ და უწუბ  
შემოაქვს გამომცხვარი ცხელ-ცხელი ჰური.

ფანჯრის წინ ერთბაშათ აღიაქოთი ატყდა, დიდი  
სმაურობაა, ემაწვილის წრიზინი, ევირინან:

— დაბჭით, ეგ არდასაცაღებელი, მოიპარა, მოი-  
პარა....

მაგდა იძულებულია გაიხედოს გარეთ. ჰატარა გო-  
გონა მის კალთას ებღაუჭება.

შესავალ კარებში მილიციონერი ჩასჭიდებია რვა-

ცხრა წლის ტიტველ-შიშველა ბიჭს და აქნევს აქეთ-იქით, ბიჭს გულზე მიუკრავს ვეებერთელა თეთრი ზური და არავის ანებებს.

— წამო, წამოეთრიე, დაჭერილი სარ ქურდობისათვის.

მაგდას ზატარა გოგო ატირდა, რაღასაც ესვეწება დედას.

ბიჭმა, ზურის ზატრონი რომ დაინახა, შეჭყვირა:

— საში დღეა არც მე, და არც ჩემ ზატარა დაიას, არაფერი გვიჭამია, მშინა...

მაგდა გადაუდგა მილიციონერს და უთხრა:

— დაესხენ, ემაწვილს! ეგ ზური მე მივეცი. ბიჭო, წაუღე შენ დასაც...

ტასო.





# ჭიანჭის მტერი.



რთი სოფელის ბაკში ოცდათ  
წელიწადზე მეტს ცხოვრობდა გომ-  
ბეშო. უმეტესათ მწერებით—ჭიან-  
ჭებით იკვებებოდა. ვუელანი, ვინც  
კი ამ კარმიდამოში იუვენ, იცნობდენ  
გომბეშოს, და სასწოდოს აწოდებდენ. გომბეშოც ისე  
შეეჩვია ამ ხალსს, რომ იმათი სრულეებითაც აღარ  
ემინოდა, არც სინათლეს ერიდებოდა, დანახსავდა თუ  
არა გომბეშო სანთლებს, თავისი სოროდან გამო-  
ძვრებოდა და მოთმინებით ელოდა საკვებს.

მესობლობა მის სანახსავათ ხშირათ შემოდინოდა



და აზავის ფიქრათაც არ მოუვიდოდა რომ შეეზინებინათ, ან ქვა ესროლათ.

როდესაც მას მიუტანდენ ჭია-ღუებს, ის ჯერ დიდხანს დააცქერდებოდა, მერე ერთბაშით მოიტაცებდა და წამს ზირში გააქანებდა.

მას არ უეუარდა, როდესაც სელის გულზე აიუვანდენ, მაშინვე ძირს ჩამოხტებოდა.

მეორე გომბეშო, რომელიც იქვე ახლოს, ბაღში, ცხოვრობდა, ყოველ დღე, სწორეთ სადილობის დროს, მოადგებოდა ჰურის საჭმელ ოთახის ფანჯარას და ელოდა რომ სახლის ჰატრონის ემაწვილებს ეჭმით მისთვის.

ერთხელ ისე მოხდა, ჩვეულებრივ რომ ორ საათზე სჭამდენ სადილს-დააწესეს ოთხ საათზე ჭამა. აბა გომბეშო როგორ მიხვდებოდა ამას! ემაწვილები სწუსდენ, რომ გომბეშო აღარ მოვა სადილის დროს.

მაგრამ რანაირად გაიკვირვა ეველამ, როდესაც სწორეთ სადილობის დროს გომბეშო გაჩნდა ჰურის საჭმელ ოთახის ფანჯარასთან. საკვირველია, როგორ მიხვდა რომ სადილობის დრო გამოცვალეს.



# ლიკლ-ტიკლის მუშაკობა

სანთლის ბავში.



თომას თავი მოჰქონდა იმითი, რომ სრული ერთი წელიწადი დაჰყო ვაჟების სკოლაში. როდესაც სასკოლო დაბრუნდა ლიკლ-ტიკლმა მას დიდი ცვლილება შეამჩნია. ეშინოდა კიდევ რომ თომა ახლა ის აღარ არის, რომელთანაც აქამდის მხიარულათ ატარებდა დროს, ახლა თომა ისე უგულოთ იხსენიებდა უველს ჰატარებს, რომელნიც არ დაიარებოდენ სკოლაში და ლიკლ-ტიკლსაც უგუნურ ბავშვთ სთვლიდა. ემაწვილი გულსე სკდებოდა და ერთხელ მკვანსეთაც წამოსძახა:

— შენ სომ სულ ახლათ ხარ მიღებული!

თომა გაცეცხლდა და უპასუხა:

— სულაც არა! შენ რაიცი?

ტიკლს გაეგონა რომ ახლათ მიღებულ ემაწვილებს ეძახოდენ „ახალ-მედას“ და ამიტომ, როგორც კი ლიკლ-ტიკლი მოაგონებდა რომ მან კარგათ

იცის რა სასულითაც ისენიებენ ახლებს, მაშინვე დაცხრებოდა და ძველებურათ დაიწეობდა მასთან თამაშობას.

თომას ძალიან უეჯარდა ლიკლ-ტიკლის კასულელება და მოტუეება. მოუეგებოდა უცნაურ ამბებს და თითქმის აჯერებდა. ემაწვილმა შეუტეო ემპაკობა და როდესაც დაუჯერებელ ამბებს დაიწეებდა, ლიკლ ტიკტს სიცილი აუტედებოდა.

— რას იცინი! რა არის აქ სასაცილო!

— ცრუობ და ის არის! და ისევე განაგრძებდა სიცილს.

თომას არ ეჭაშნიკებოდა სიცილი და როდესაც უნდოდა დაეჯერებინა, ემაწვილი-ეტეოდა სოლმე:

— ზატოსან სიტევას გეუბნები, დამიჯერე.

მაგრამ ერთხელ თომამ ძალიან კასულელა ლიკლ-ტიკლი. ბავშვები და ტიკლის დედა წავიდენ კასასეინებლათ. დედა მადაზიაში შევიდა რამეების საუიდლათ და ორივე ემაწვილი უცდიდენ ეტლში. მასლობელ მადაზიაში ჰყიდდენ ემაწვილების და დიდრონების ტანისამოსს. ფანჯარაში გამოფენილი იყო სანთლის ფიგურები, უფრო ემაწვილებინა. ზოგს ეცვა გიმნაზიელის ტანისამოსი, ზოგს მესღვაურებისა და ზოგს კიდევ სულ ზატარა ბავშვებისა.

— რა საცოდავი შესედულობა აქვთ ძავათ! წამოიძახა ლიკლ-ტიკლმა. — რა ფერი ამევთ, უბედურებს!

— მეგრე რა გიკვირს! უთხრა თომამ,—დაე მუდამ აგრე დაკეტილში არიან, მშიერ—მწუერვალნი.

— მაგას რას ამბობ, თომა! შეჭვევირ ლიკლ-ტიკლმა—ეგენი ხომ სანთლისა არიან.

— სანთლისა? თქვა დამშვიდებით ემაწვილმა.—შენ რა გაგეგება?

ლიკლ-ტიკლი გაცდა.

— განა აგრე არ არის? მორიდებით იკითხა ემაწვილმა,—ეგენი ხომ დიდრონი დედოფლები არიან!

თომამ მიხედ—მოხედა, ეურს ხომ არავენ გვიგდებსო. მეგრე ლიკლ-ტიკლს ეურში წაუჩურჩულა:

— სანთლისა სულაც არ არიან! ნამდვილი, ცოცხალი ბავშვები არიან. ხოლო ეგენი მონები არიან.

— თომავ, შიშით წამოიძახა ლიკლ-ტიკლმა—ნუ თუ მართალს ამბობ?

— ზატოისან სიტევას გაძლევე, რომ მართალს გეუბნები.

მეტი ღონე არ იყო ლიკლ-ტიკლს უნდა დაეჯერებია მისი სიტევა. მან დაუწყო თომას გამოკითხვა, და თომა მოუევა უცნაურ ზღაპრებს—მაღაზიების ზატრონების ბორტებისა და მათგან ემაწვილების ტანჯვისას. ლიკლ-ტიკლის დედა გამოვიდა მანკობელი მაღაზიიდან.

თომამ მუჯღუგუნი ჰკრა ბიძაშვილს და თვალთ ანიშნა, რომ აღარაფერი ეკითხა.

მაგრამ ემაწვილმა უკვე იმდენი გაიგო, რომ მთელი ღამე სულ ესისმრებოდა საბრლო ზატარს

მონები.

გაიღვიძა თუ არა დილით, იმ ფიქრში იყო, რომ როგორმე გაენთავისუფლებინა ბავშვები. საუბედუროთ დედ-მამას ამაზე არაფერი უთხრა. თომამ წინ და წინვე გააფრთხილა-კრინტი არავისთან დასძრაო, თორემ ძაღაზიის ბოროტი ჰატრონები გაიგებენ და უფრო სასტიკათ მოექცევიან საბრალო ჰატარა მონებს, მშიერს მოჭკლავენ და ნამდვილ სანთლის ბავშვებს მიაგვანებენო.

მთელი მეორე დღე ლიკლ-ტიკლი სულ ამათ განთავისუფლებასე ფიქრობდა. თომა ამ დღეს ვერა ნახა და ახალი ვერაფერი გაიგო. ღამე ძილში ტიროდა. გადიამ სასაქმებელი მისცა და საუხმის წინეთაც დასამშვიდებელი წამალი დააღვეინა.

ბედზე თუ უბედობაზე გადიამ ნახადილევს მოინდობა საკერავი მანქანების ძაღაზიაში წასვლა. ეს ძაღაზია სწორეთ იმ ქუჩაზე იყო, სადაც იუვენ ჰატარა მონები. ჩვეულებრივი სეირნობის მაგივრათ გადიამ ჩაღის ჩასაჯდომით წაიყვანა ჭიჭეინა და გაიყოლია ლიკლ-ტიკლიც. ბავშვები ჭუჭეინა და მუვირალა ქუჩებზე გაატარა, ისინი ჰიროდაჰირო მიაღვნენ იმ ძაღაზიას, რომლის დანახვამ ლიკლ-ტიკლი ძალიან ააღელვა. გადიამ ბავშვი ჩაღის ჩასაჯდომით შეაგორა ძაღაზიაში. ჭიჭეინა კმაყოფილი იჯდა შიგ და ღეჭავდა თავის მატულის თეთრ სამაჯურს.

გადიამ ლიკლ-ტიკლი ბავშვთან მიატოვა და თვი-

თონ მეორე ოთახში გავიდა საკერავი მანქანის შესახებ მოსალაპარაკებლათ. ერთ წამს ლიკლ-ტიკლი ფიქრობდა: როგორ მოვიქცე. მერე რაღაც გადაწვეტილებას დაბდგა. სწრაფათ გამოვიდა მაღაზიიდან. რამდენიმე სასლის იქით ეგულებოდა ტანისამოსის მაღაზია. ლიკლ-ტიკლი თამამათ და გაბედულათ შევიდა მაღაზიაში, თუმცა გული უფანცქალეობდა.

მაღაზიაში ბევრი ხალხი ირეოდა და ვერც ერთმა მაღაზიის შაგირდმა ვერ შეამჩნია. რომ დაენახათ კიდევ, ეგონებოდათ, რომელიმე მუშტარს შემოჭეოლიათ; არც ფანჯარასთან იდგა ვინმე. ლიკლ-ტიკლი აცოცდა საფეხურზე, გაიხედა ფანჯარაში, იქვე სანთლის ემაწვილებთან, მაგრამ ვერავინ ნახა. მოაგონდა ის ღამე, მაღაზიაში რომ გაატარა და ის იყო უნდა გაეცინა, ამდროს შესედა თუ არა ბავშებს, რომელთა შუშის თვალები საბრალოთ გამოიუურებოდენ, შეკრთა. ლიკლ-ტიკლს შეებრაღა მეტადრე ერთი სულ ჰატარა, რომელსაც მატელის ფუფაიკა ეცვა და თავზე ნაქსოვი ცინფერი ქუდი ეხურა. სუთი წლისა იქნებოდა-მეტი არა. თვალები ჭოლო ჭქონდა, თმები სუჭუჭი. ლოყები ჰირის ფერი, თუმცა გაუვითლებული და გაცრეცილი იყო. ატეობოდა რომ მუდამ შიოდა და მისთვის ურიგო არ იქნებოდა რკინის აბები რომ მიეცათ. და თევზის ქონი დაეღვინებიათ. თომაპ უთხრა, რომ ბავშებს, მეტადრე ბიჭებს, ლაპარაკის ნებას არ აძლევენო და თუ გაბედავდენ სმის ამოღებას, მერე ღამე გასურებული

## ლიკლ-ტიკლის ეშმაკობა

შამყურებით სცემენო. ლიკლ-ტიკლი მიუხსლოვდა ერთ ბავშს და ჩუმად წაუხურჩულა ეურში:

— ნუ გეშინია, მე მოველ, რომ გავანთავისუფლო.

მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ასწია ბავში, არ ეგონა რომ ასეთი მძიმე იქნებოდა და გასწია ძალაზიდან. მაგრამ იქიდან გამოსვლა არც ისე ადვილი იყო. ჯერ კარის გაღებამ შეაწუსა, მერე კი კარი თავის თავით მიისურბა. ლიკლ-ტიკლს შეეშინდა, საფანგში ხომ არ მოვეძმუდებო. მაგრამ მშვიდობიანათ გავიდა გარეთ და სწრაფათ გაექანა იმ ძალაზიისკენ, სადაც გადია და ზატარა დია ეგულებოდა.

ამ დროს ძალაზიის შავირდებმა შეამჩნიეს და გამოუდგნენ. ამათ აჭყვეენ ქუჩის ბიჭები, რომელნიც უოველთვის მხათ არიან საეშმაკოთ. როდესაც ემაწვილი შევარდა გზიასთან ძალაზიაში, უკან შეჭევა ორი გააფთრებული ძალაზიის შავირდი. და თან მთელი ბობო ქუჩის გოგობიჭებისა.

გადია გამოსასვლელ კარებთან იდგა. დანახათუ არა ლიკლ-ტიკლი სანთლის ბავშით ხელში და აუარებელი ხალხი, გაცეებით და შიშით შეჭევირა. ემაწვილმაც რომ ნახა ამოდენა მტრებში მხოლოთ ერთი მოსარჩლე, მაშინვე გადასარჩენათ გადასცა ზატარა, მძიმე უსიცოცხლო ბავში და ტიტინით იმართლებდა თავს: საბრალოს გადარჩენა მინდოდა.

გადიამ მარტო ეს წამოიძახა:

— შე მოუსვენარო! გაგონილა ამისთანა დაუდგრომელი ბავში! და ბოლომდის არც კი დაუგდო უური.

მაგრამ ლიკლ-ტიკლს ის უფრო ეწეინა, რომ გადიამ გულმოდგინეთ დაუგდო უური მალაზიის აღშფოთებულ შავირდებს და უთხრა. ლიკლ-ტიკლი საშინელი გაუხნეუბული ბავშია და კთხოვთ ზოლიციას ნუ შეატუობინებთო. მალაზიის შავირდები მაშინ უფრო გაბრზნდენ, როდესაც ლიკლ-ტიკლმა უთხრა, რომ ისინი ბორცოტი და ავი აღამიანებია არიან და ძონებს შიმშილით ჰკლავენ.

— „დეე, დაუძახონ ზოლიციელებს. ფიქრობდა ის გულში,— მე იმათ ეველათურს ვუბამებ და ისინი ციხეში ჩასვაძენ მათ.“ მალაზიის ჰატრონებმა დაუჯერეს გადიას. საჩივლელათ აღარ გახადეს საქმე და წავიდწამოვიდენ. ლიკლ-ტიკლი ძალიან ნაწყენი და შეწუხებული დარჩა იმ ბავშვის საქციელით, რომლის სსსასაც აპირებდა. უბედურმა კრინტი არ დასძრა და დამშვიდებით ჩაესუტა მალაზიის ბორცოტ შავირდსო.

როდესაც ეველა წავიდწამოვიდა, გადიამ ისეთი ტუქსვა დაუწყო ლიკლ-ტიკლს, რომ ის მოჰყვა ტირილს და იმდენი იტირა, რომ ჰატარა ჭიჭუნამ წამოიძახა:

— საწუალი ლიკლ-ტიკლი!

დაია ისე იშვიათად ლაპარაკობდა, რომ ამასე ლიკლ-ტიკლმა უფრო მეტად გაბაბა ტირილი.



## ლიკლ-ტიკლის ემპაობა

კადია მთელი გსა ეჩსუბებოდა და ლიკლ-ტიკლს ცრემ-  
ლები არ შეჰშრობია.

ემაწვილმა ვეკლავფერი უაძბო დედას და ის სუ-  
ლაც არ გასჯავრებია. მსოფლოთ თომას ჩაის დროს  
შენიშვნა მისცა. მან თავი იმართლა და სთქვა:

— ვსუშრობდიო.

ამასე ლიკლ-ტიკლმა ვერ მოითმინა და უთხრა:


— თომა, შენ სომ ჰატოისანი სიტუვა მომეცი  
რომ მართალს შეუბნები.

ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ თომამ აჩუქა  
ჯაუვა-დანა და ლიკლ-ტიკლი ამ დღეს თავს მანც  
ბედნიერათ გრძნობდა.

(შემდეგი იქნება)

ტასო.





## მინდა ყველა გავაბედნიერო!



ახაფხულის გრილი, ნოტიო საღამოა. მთელი დღე წვიმა, თავსება იყო. ბაღის ბილიკებსე ქვიშა ტალახათ ააგორა და ბევრ ადგილას გაუვალი გუბები დააყენა.

სველ ძრავალ-ძარღვა ბალახის ქვეშ იჯდა ლოკოკინა. თავისი ორი რქა გამოეყო სახლიდან და რაღაც ფიქრებს მისცემოდა.

„რა არის ჩემი ძარტოთ ძარტო ცხოვრება, ფიქრობდა ლოკოკინა,—მინდა ყველა მასლობელს სიკე-

თე ვუეო! მთელი ქვეყანა გავაბედნიერო!

— გამარჯვება, ნათლიავ, მოისმა უცბათ მის ას-  
ლოს წკრიალს სმა ციცინათელასი.— ასე გვიან რას  
აკეთებ. ამ დროს შენ ეოველთვის სახლში მიძალუ-  
ლი გძინავს სოღმე.

— დახუძდი, ნუ ძიძლი, ფიქრებში ვარ წასული.  
სთქვა ლოკოკინამ.— მე ძინდა ვეკლა გავაბედნიერო  
ისეთი რამ მოვიგონო, რომ მთელ დედა-ძიწას  
სარგებლობა მოუტანოს.

— რა კარგი აზრი მოგვსლია, აღტაცებით წა-  
ძიძინასა ციცინათელამ.— მეც მოგებაძავ! სომ იცი რომ  
მე ისეთი ფარანი ძაქვს, რომელიც მშვენივრათ ანა-  
თებს და გაჭირების დროს შემძლიან ვეკლას გზა  
გავუნათო.

— მე, მე რაღა ვქნა? უნუგეშოთ თქვა ლოკო-  
კინამ.

— შენ სომ სახლი გაქვს, იმითი მიეშვლები,  
უზასუსა ციცინათელამ.

— ჩემი სახლი სომ ისეთი ჰატარა, რომ მე  
ძლივს ვეტევი შიგ., ნადვლიანათ წაძიძინასა ლოკო-  
კინამ.

— ძართალია, სახლი ჰატარა, ძავრამ სახლის  
სახურავი კარგა ფართობ და ეტლის ძავიგრობას  
გასწევს. აბა, შევერთდეთ! მე სასურავსე, ეტლს წინ  
დავუჯდები, ჩემი ფარნით გავანათებ გზას და შენ  
უნდა ატარო შენი სახლი. საქმე მშვენივრათ მოეწ-



ეობა! მაგრამ ჯერ უნდა აღვირი ვიძოვო.

მისი პატარა თათები სწრაფათ ამუშავდა და ბალახებიდან მოამოსადა აღვირი.

— ახლა კი ეველსაფერი მხათ არის, წამოიძახა ციციანათელამ, როდესაც ლოკოკინას რქებსე მიუმაგრა აღვირი.— აბა, გავუდგეთ გზას.

— საით უნდა წავიდეთ, უნდობლათ დაეკითხა ლოკოკინა.

— წავიდეთ, სულ წინ წავიდეთ! აღტაცებით წამოიძახა ციციანათელამ.

ლოკოკინა ნელ ნელა გაუდგა გზას. ის ბუნებით მოუსეშავი იყო, ძილის დრომაც მოუსწრო, მაგრამ მიუსედავათ ამისა მიათრეკდა სახლს. ის აზრი, რომ სსვეებს სარკებლობა უნდა მოუტანოს, ძალას აძლევდა მას.

— ოჰ! შემოდან ჩამოსძახა ციციანათელამ.— აი, შორიდან მოჩანს ვიღაც, რომელსაც შეგვიძლიან გუშეველოთ.

ბადის სველ გზასე დიდი გაჭირვებით მოცოცავა და ჭია-ძაია. წითელი, შავ წინწკლებიანი კაბა ეცვა.

— შედგეთ, ქალბატონო, დაუვეირო ციციანათელამ,— გთხოვთ ინებოთ და ჩაბძანდეთ ჩვენ სამკსავრო ეტლში. მიგიყვანთ, სადაც ინებებთ.

— რა კეთილი ეოფილხართ! უთხრა ჭია ძაიამ, გზასე ისეთი ტალახია, რომ კაბა ერთიანათ გამესვარა და შორეულ ეკლებამდის, სადაც ჩემი და

ცხოვრობს, კაი მანძილია.

და ჭია-მაია დიდი გაჭირვებით აცოცდა ეტლის თავსე და მოჭყვა თავისი მორთული კაბის წმენდას.

— რა ნელ-ნელა მივცოცვავთ, ბუზდუნებდა უმაღური ჭია-მაია,— ფესით უფრო ძალე მივიდოდი.

ციცინათელამ პასუსი არ აღიწხა. მისი უურადლება მიიქცია დიდმა გუბემ, საიდანაც მოისძოდა, რომ ვიღაც შველას ინგეწებოდა.

ეს ფუტკარი იყო, რომელიც ებრძოდა ტალღებს რომ არ დამსჩვალყო. წინა თათებით ეჭიდებოდა ხალის ღეროს. ღერო კი ერთ ადგილას ტრიალებდა და ნაპირამდის ვერ აღწევდა.

— აი ჩვენი შველა სად არის საჭირო, დაივირო ციცინათელამ,— ქალებატონო, ჩქარა ჩამობრძანდით, ჩვენ პირდაპირ წუბაღში უნდა შევიდეთ.

— აბა, ნათლიავ, ღმერთი ვასსენოთ და შევიდეთ წუბაღში.

ლოკოკინა ნელ ნელა შეცურდა წუბაღში. ბოლოს ისე მიუახლოვდა ფუტკარს, რომ აღვირი გადმოუგდეს და მისი შემწეობით ეტლის თავსე ადვილათ აცოცდა. მერე ფუტკარს ადელევებისაგან გულს შემოეყარა და მთელი წუთი უგრძობლათ იყო. ლოკოკინა კი სამშვიდობოს გამოვიდა.

როდესაც ფუტკარი გონსე მოვიდა, ციცინათელამ თანაგრძნობით ჰკითხა:

— შე უბედურო, როგორ ჩავარდი ამისთანა საშიშ მდგომარეობაში?

„ეს სულ ჩემთვის მოულოდნელათ მოხდა, დაიწყო ფუტკარმა—ბინასზე ვჩქარობდი დაბრუნებას და ვერ შევამჩნიე როგორ გაჩნდა ჩემს ახლოს ადამიანი. მან წამს სტაცა ცხვირსახოცს ხელი და მომიქნია. მე ძეწეინა, შეურაცყოფათ მივიღე, რას მერჩოდა, მე ხომ არაფერს ვუშავებდი. გადავწვიტე-შური მეგო. და იმ საძაგელ ადამიანს გამოვუდექი. მინდოდა უსათუოდ ცხვირზე მეკბინა. ის მაინც ცხვირსახოცით მიგერიებდა. ისე აღვშოთდი, რომ ვედარაფერს ვხედავდი. მაინც მოვანერხე და მის ცხვირზე დავსკუბდი და ის იყო უნდა ისარი ჩამერჭო, რომ უცბათ ვიგრძენ რომ წყალში ტყვანა გამძვრა. უსათუოდ დავისრჩობოდი რომ თქვენი წყალობა არ ყოფილიყო და არ გადაგერჩინეთ. სანამ ცოცხალი ვარ, არ დავივიწეებ თქვენს სიკეთეს, და ამ ამბავს მოვუყენ საქვეყნოთ ჩვენ საფუტკრეებში. ახლა კი ნება მომეცით წავიდე ჩემ ბინასზე. მოსვენება მეჭირვება.“

ამ სიტყვების შემდეგ ფუტკარი სიბნელეში გაქქრა....

ამ დროს მწერების მთელი კროვა ლოკოკინას მოესვია.

„მოგვილოცავს, მოგვილოცავს! ჭრიანებდენ, ჭრიანებდენ მწერები. თქვენ სიკვდილს გადაარჩინეთ“

თქვენი მასლობლები, ამ სიკეთეს არაუნ არ დაივიწყებს. ციციანთელს და ლოკოკინს ეველას თავს უკრავდენ, მადლობას უხდიდენ.

— ახლა ცოტა შევისვენოთ, სული მოვიბრუნოთ და ისევ გავუდგეთ გზას. წამოიძახა ციციანთელამ.

— მოდი, ჩვენი მოგზაურობა სასხვალთოთ გადავდოთ, ძალიან დაღალული ვარ. ძლივ—ძლიობით წაიღუღლუდა ლოკოკინამ.

— არა, არ იქნება! უსათუოდ ჩვენ მოძიებებს დღევანდელმა ნინდვარმა ბევრს გაჭირება მიაყენა, უნდა მივეშველოთ, ფიცხლავ წამოიძახა ციციანთელამ.

— ჩვენც მიგვიუვანეთ ბინამდის, სთხოვეს ჭიანჭველებმა, აქვე ახლოს ვდგევართ. ეველანი აცოცდენ მადლს და ჩამწკრივდენ. ამათ მიეკედლა კიდევ სქელი მატლი.

ლოკოკინს რაღას გააწუობდა, ერთი კი ამოიოსრს და გაუდგა გზას.

— საით მიბრძანდებით თქვენ ეველანი ერთად. მოისმა ჭყერში წკრიალა სმა,—ნება მიბოძეთ მეც თქვენთან წამოვიდე. და ღამის კოსტა ზეჰელა დაეშვა ლოკოკინასუ.

რა მშვენიერი რამ იყო! ეველა აღტაცებით შეჭყურებდა ღამას ზეჰელას. მის ახლოს იჯდა მატლი.

— რა მშვენიერი ხართ! შეჭვეიარა ამან: თქვენ უსათუოდ ის სამოთხის ჩიტი იქნებით, რომელსე-  
დაც ამას წინეთ მერცხალი მოგვითხრობდა.

— შე სულელო, მე ხომ შენი ნათესავი ვარ, ალერსით უთხრა ზეპელამ.

— შენ? განა არა მხედავ, რა მახინჯიცა ვარ! არც ფრთები მაქვს, ამოოხვრით უთხრა მატლმა.

— იმედს ნუ ჰკარგავ, მოიცადა ცოტახანს, განა შენ შენი კაბა ჯერ არ გამოგიცვლია? ჰკითხა ზეპელამ.

— როგორ არა, ორჯერაც გამოვიცვალე, მერე მთელი ტანი რანაირად მტკიოდა, უნასუსა მატლმა.

— არა გიშავს რა, კიდევ რამდენჯერმე გამოიცვლი, განაკრძო ზეპელამ, —ბოლოს მკვდარივით ბნელ ზარკში ჩაწვები, გეგონება რომ მოკვდი, მაგრამ ნუ შეგეშინდება—ეს იქნება უკანასკნელი გარდაქცევა და გასდები მშვენიერი ზეპელა. აბა, ნამდვილათ მაშინ ბედნიერი ცხოვრება დაგეწეობა. დიდიდან საღამომდის სურნელოვან ევაგილებთა შორის იფრენ, აუარებელი თაფლით დასტკბები და მდიდარ სასახლეში იცხოვრებ. ჩვენ ცხოვრებას ხომ ვეველა შენატრის! აღტაცებით დაამთავრა ზეპელამ.

მის ტებილ ლაპარაკს ვეველა ისე აღფრთოვანებით უკვებდა ეურს, რომ კხას ეურადლებას აღარ აქცევდენ. მათ შესახვედრათ კი მორბოდა ვეებერთელა ძაღლი. ციცინათელა რომ დაინახა, ასწია ძაღლს




თავისი ძმლავრი თათი და შთლათ ეველა გაჭელიტა.  
ამითი გათავდა ციცინათელას და ლოკოკინას  
მოკსაურობა.

მართალია, ეველასთვის კულ—შემატკივარი ლო-  
კოკინა დაიღუპა, მაგრამ მისი კაი სსენება დარჩა  
სამუდამოთ.

მადლიერი ფუტკარი სშირათ მოიგონებდა თუ რა  
საოცრათ გადარჩა მისი წებლობით დაღუპვას.

(თარგმანი)


ან. წერეთლისა..





# ნორჩი ყვავილის ამონაკენესი

(პატარა ანდრეიკას ხსოვნას)



ატარს ყვავილი ვიუბე,  
ნორჩი და გაუფურჩქენელი;  
მარტის სუსხმა მოძისწრო,  
დღე გაძითენდა შავუბნელი.

” ” ”

უდროთ გამოძასაღმა  
წუთის სოფელსა ტიელმა,  
და დაძიცრემლს დედ—ძამა  
სამთრის ეინულმა ძლიერმა.

” ” ”

ვაჭ, სოფელა, უმადურო,  
რათ გამწირე ასე ნორჩი,  
რათ მოძწევიტე ტოლ ამხანავს,  
ასე მტრულათ რას მერხოდი.

” ” ”  
ვუოფილიუავ მე ჩემს ბადში  
და კუჭური გამეძალა,  
და კეთილი სურნელება  
უსვათ ვველგან მიამეფინა.


” ” ”  
გეფიცებით, რომ დამცლოდა,  
მეც გავსწევდი სამსახურსა,  
ვვაზილს ფართედ გადავშლიდი,  
დავუტებობდი ვველას გულსა.

” ” ”  
მაგრამ ესლა გვიან არის  
და საშველი არსით არი;  
სიცოცხლისა მოტრფიალეს  
ვეელა მხედავთ: ვარ დამჭენარი.

” ” ”  
მშვიდობით, დედავ, მშვიდობით.  
მშვიდობით გენაცვალეო,  
მამას ცრემლები მოსწმინდე,  
მოხუცი შეიბრალეო.

# კოწოლ და მისი აზხანაბები.

ჩრდილოეთის ძაღლი.



ვენ რომ ჩვენი ქალაქიდან წავიდეთ ჩრდილოეთისაკენ, ესე იგი იმ მხარისაკენ, სადაც მზე არ გვინათებს, შევამჩნევთ რომ თანდათან მეტი სიცივეა. მუნის, არუის ხის და ვერხვის მაგივრათ ვხედავთ მხოლოდ ეკლიან ტუეს. ბოლოს ეს ეკლიანი ტუეც თავდება, რადგან ძალიან სიცივეა. ეს მიეგვანება იმ მკსავრობას, იტალიიდან რომ ალპების უინულიან მწერვალოზე აღიოდენ. იქ მკსავრი სულ მადლა, მადლა აღიოდა, სანამ საშინელ სიცივეს და უინვას არ იგრძნობდა. ახლა მკსავრი ჯერ რკინის გზით წავა, მერე ცხენებით, მერე კიდევ ირმით იმკსავრებს და რამდენიმე დღის შემდეგ მივა ცივ და მოღუშულ ქვეყანაში.

წელიწადში ათ თვეს გრძელდება აქ სასტიკი ზამთარი, თოვლით და ქარბუქით მოცული. დღეები თანდათან იკლებს, ღამეები მატულობს. ბოლოს მზეს კაცი მხოლოდ რამდენიმე წუთით ნახავს, მერე ისეთი ჩაბნელებული დღეები დგება, როდესაც მზე

სულ არ ამოდის და არე მარე წვედიადშია განვეუ-  
ლი. მთელი ორი თვე სულ ღამეა. ამ ორი თვის  
განმავლობაში ამ ქვეყნის მცხოვრებლები გაუთავ-  
ბელ სიბნელეში, უმწეოთ არიან.

რა სინაწული იზურობს ამათ, როდესაც აღმო-  
სავლეთით გამოჩნდება განთიადის რიჟრაჟი, ცაზე  
შეითამაშებს და მერე ისევ ჩაქრება. ხელ-ახლა ღამე  
დგება. მაგრამ მეორე დღეს რიჟრაჟი უფრო დიდხანს  
გასტანს ცაზე. ბოლოს გამოჩნდება მხიარული მზე,  
ერთი მხრიდან, ერთი წუთით მხოლოთ. გამოჩნდება  
და ისევ ჩაქრება, თითქოს გამოსაჯავრებლათ. „აი  
მეც აქა ვარ, შემომხედეთ რა ალერსით სავსე და  
მხიარული ვარ. ძალე ხელ-ახლა მოვალ თქვენთან.  
საბრალო ხალხს უსარია. იციან რომ მეორე დღეს  
მზე უფრო ძალა ამოანათებს, უფრო დიდხანს  
ღარჩება. დღე თანდათან მატულობს, ღამე იკლებს,  
ბოლოს ისეთი დღე დადგება, როდესაც მზე სრუ-  
ლებითაც არ ჩავა და დღე გავრძელდება ისე დიდ-  
ხანს, რომ ორ თვეს გასტანს. ეს იქნება ზაფხული.

თუძცა ორი თვის განმავლობაში მზე მუდამ  
ანათებს, მაგრამ მაინც ვერ ადნობს ვერც ეინულს  
და ვერც თოვლს, რომელიც გრძელ სასტიკ ზამ-  
თარში მოკროვილა. მის ქვეშ მიწა ისე გაუინულია,  
რომ არც ბალახი და არც ყვავილი, როგორც  
ჩვენში, არ ხარობს. მხოლოთ ხავსს და ან  
სულ უბრალო ბალახს ვხედავთ, რომელნიც

უძლებენ სიცივეს. არც ხეები ხარობენ. ნიადაგი მათთვის ალბათ ძალიან ცივია.

ამისთანა მოსაწევენ ქვეყანაში ცხოვრობს ხალხი. საფსულოებით ნადირობენ გარეულ ჰირუტეეებსე და სამხრეთიდან გადმოფრენილ ფრინველებსე. უმეტესათ კი თევზაობენ, ახმობენ თევსებს მხესე, ფლავენ ორმოკებში და სამთრისთვის იმხადებენ საზრდოს.

ამ მოღუშულ ქვეყანაში, ჩრდილოეთის წვერზე ადამიანის უმთავრესი თანაშემწე არის ჩრდილოეთის ძაღლი. ისინი უფრო ჰირუტეეებსე ნადირობენ. მცხოვრებლებს ცხენების მაგივრობას უწევენ.

ცხენი ვერ უძლებს ამ კვარ სიცივეს.

მათთვის საჭმელი არ იშოვება და იქაურ ღარბ მცხოვრებლებს არ შეუძლიათ თბილი სადგომები გაიკეთონ. სამთარძიანც, როდესაც დიდი თოვლი ძევს, ცხენი ვერ ივლის თოვლის ზვინში, სადმე ჩაიხეხება. მსუბუქი ძაღლი კი ადვილათ დაღბის, რაც უნდა სქლათ მოყენილი იყოს თოვლი.

ჩრდილოეთის ძაღლი საზოგადოთ ძალიან უურ მახვილია. რაც უნდა თოვლ ბუქი იდგეს, გზას მანც გაიგნებს და ჰატრონს ბინასე მიიყვანს. ძაღლის შენახვაც ადვილია. მისთვის არ არის საჭირო თბილი თავლა. ბუნავს თოვლშიაც გაიკეთებს. შიკ ჩაწევა და ისე თბილათ არის. რაც მოხვდება ნასუფრალი, სჭამს, უმეტესათ კი თევზს.

გასაფსულოებით, როდესაც თოვლი გადნება და

აღარ შეიძლება ძაღლებით სიარული, ჰატრონი ქაღალს მიუძვებს სოღმე ნებაზე. ჭკვიანი ძაღლისთვის დგება ნამდვილი დღესასწაული, მთელ ზაფხულს, თუმცა ძაღლიან მოკლე ზაფხულს, ძაღლი ისვენებს, ძღება, სჭამს სხვა და სხვა ნადირს, უმეტესათ თევზებს, უთვალთვალებს მათ წელის ნაწირიდან დასაჭერათ. შემოდგომაზე, როდესაც თოვლს ჩამოჭერის, ჰატრონები მოსძებნიან თავიანთ ძაღლებს, დაიჭერენ მათ და მაშინ იწეება მათი ტანჯვა.

ძაღლებს ცუდათ კვებავენ, რადგან ჰატრონებიც ნასვენრათ მშიერნი არიან. ძაღლებს თევზებსაც კი რიგინათ არ აჭმევენ. მიუგდებენ სოღმე კუდებს, თავებს, ძვლებს. მუშაობით კი ძაღლიან ამუშავებენ. მათთან ერთად ნადირობენ დათვებზე, მწავზე, ლომთევზებზე, უმეტესათ კი ხმარობენ საჯდომათ და ტვირთვის გადასატანათ.

შორიდან, თვალ უწვდენელ თოვლიან ველ მინდორზე, მოჩანს რაღაც შავი წერტილები, ეს ალახუხებია, რგვალი კარგები, ან ქოსები—სეუეები ფინსებით გაკეთებული და სასურავათ ირმის ტეავით გადაფარებული. ეს იაკუტის სადგომია.

შევიხედოთ ამ ალახუხში, რა საშინელი სიბნელეა და სიბინძურე! ბნელა იმიტომ, რომ სანათი არაა. სუნი სამაგელი დგას, რადგან შიგ თავიანთან ერთად ინახავენ ძაღლებს და მათ ლეკვებს. თვითონ იაკუტებიც ძაღლიან ბინძურები არიან: თავის დღეში

არ ბანაობენ. იმისთანა სიცივეში როგორ იბანაუებენ? არც აბანოები აქვთ.

ალაჩუსის შუა დიდი ცეცხლი ანთია. კვამლი ძალდა ჭერში ადის, მაგრამ თუ შეშა ნედლია, კვამლი ძირს რჩება. ალაჩუსის ერთი კუთხე კარავსავით ტუავით შეკრულია. ეს გახლავთ დასაწოლი ბინა. აქ ძალიან თბილა, ცხელა კიდეც. უცხოთ შესულს სული შეუგუბდება კიდეცა. თვითონ თითქმის ტიტვლები სხედან. ზის დედაკაცი, ტუავის ტანსაცმელს ჰკერავს. ძაფის მაგივრათ ირმის გამძმარძმარღვს სძარობს, ნევსათ აქვს თევზის ძვალი. დედაკაცი ძალიან ხელოვნურათ ჰკერავს, მოსართავათ სხვა და სხვა სახეებიც კი გამოჰკერავს. წინ სანათი უდგას. მაგრამ ნუ გკონიათ რომ ჩვენ ლამპებს მიეგვიანებოდეს. ეს ზღვის ძაღლის ან ზღვის ლომის თავის ქალაა. შიგ ასხია ზღვის ლომისვე ქონი და ჰატრუქის მაგივრათ ხავსია დაკრესილი. სანათური იკვამლება და ჟარს, არც სინათლეა შეირიანი. მაგრამ ამითიც კმაყოფილნი არიან, რადგან უკეთესი არ მოეპოვებათ.

ალაჩუსის ჰატრონიც ზის სანათურთან, ირმის ტუავის ჰერანგის ამხანაგის ანაბარას, შედატანიტი ტველა. ის ეწევა ჰატარა ჩიბუსს. თამბაქო მას სულ ცოტა აქვს და უაირათობს. ჩიბუსს ხავსით ტენის და შემოდან ერთიბეწო თამბაქოს აურის. სწევს ჩიბუსს და ცხარე კვამლს ხარბათ ელახავს, თავს ძა-



ლას ატანს, სახე უწითლდება, თვალებს აჭყეტს, ცრემლები გადმოსდის, სულს ველარ ითქვამს. ერთი კიდევ გადაულაპა ბოლი. ჩიბუსი გაუქრა. სული ესუთება, დიდხანს ასველებს. ეს კაცი სწორეთ შესაბრალებისა. ნეტავი რაზე იტანჯება აკრე? თვითონ კი კმაყოფილია... ამ გვართ ჩიბუსის მოწვევა მისთვის სწორეთ სასიამოვნოა.

ჩრდილოეთის მცხოვრებნი ხშირათ ამ სიამოვნებასაც კი მოკლებული არიან. ჩიბუსს მხოლოთ შინ, თავის ჯღახუსში სწევს, შინ კი ჯდომა იშვიათად უხდება. სულ აქეთ იქით დაიარება. გაიგებს თუ არა, რომ მანლობელ სოფელში მოსულა ვაჭარი - ბეწვეულობის საეიდლათ, გაექანება იქითკენ რომ მიჰყიდოს ტვავი, ბეწვი ნადირისა და იმისაგან სამაგიეროთ მიიღოს არაფი, თამბაქო, წუმწუმები და სხვა.. დანაც საეიდელი აქვს, ძველი სრულებით მოიჩლუნგა. სოფელი კი ახლოს არ არის, მთელი დღის სავალზეა.

ალახუსის პატრონი წასასვლელათ ემზადება. ძაღლის ტვავის ჰერანგს იცვამს ბალნით შიკნიდან. მეორე ჰერანგს ბალანს კი გარედან უშვრება, ბეწვის ჩექმებით ეწეობა, ბეწვისავე ქუდს უურებზე ჩამოიფხატებს. სარტყელს იკრავს და ისე გამოდის გარეთ. უკან ძაღლები მოჰყვებიან. ის მიდის იმ ორმოსთან, სადაც შენახული აქვს კვამლში გამოყვანილი თევზი, ორმოს მოაშორებს ქვებს, ამოიღებს რამდენიმე თევზს და ისევ ქვებს მიაფრის. ძაღლები, საჭმელს რომ იგ-

რძობენ, მოჭყევიან ღმუილს, ჭევილს, და გაცხარებული ეფუით მოესვევიან ჰატრონს. ის მათრასით იგერებს მათ. ამ დროს უფროსი შვილიც მიეშველება და გრძელი შოლტით უმოწებლათ მოჭყევიან ძაღლებს ცემა-ტყეპას. მაგრამ ისინი გაცოფებული დასტიან და ლაპობენ ჰატრონს საჭმელი ხელიდან გამოგლიჯონ. ჰატრონი ცდილობს რიგრიგათ მიაწოდოს სასრდო. ძაღლები ჭამის დროს ბდღვინავენ, იღრინებიან, ერთმანერთს ლუკმას ჰირიდან აცლიან.

მაძა-შვილი ახლა ამხადებს ჰატარა მარხილს გეშაპის უღვაშებისაგან ვაკეთებულს და ირმის ტყავის თასმებით შეკრულს. შიკ ჩაალაგებს გასაყიდ ტყავულობას. ძაღლებიც ათავენ თავიანთ ულუფას, მაგრამ ისინი არ არიან გაძდარნი, წკბუტუნებენ და საცოდავათ ითხოვენ კიდევ საჭმელს. მაგრამ მეტს არც ერთ ლუკმას აღარ მისცემენ, რადგან, თუ წასვლისას გაძდებიან, ვეღარ ივლიან ჩქარა.

ჰატრონი თავის შვილით იჭერს ცხრა ძაღლს და მარხილში შესაბამელათ თასმებს ეელსე აბამს. მათ მარხილში წვეილ-წვილათ აბამენ. მხოლოდ წინ ცალათ ერთ გონიერ, დარბაისელ ძაღლს შეუბამენ. მან უნდა უწინამძღვროს. შებმის დროს ძაღლებს ღმუილი და ღრიანცელი გააქვთ, რადგან კარგათ იციან, რა ძნელი გზა უძევთ წინ.

უფროსი ჯდება მარხილში გრძელი შოლტით ხელში. უსტყენს. ძაღლები მიაქანებენ მარხილს. მსუ-

ბუქი და თანაც გამძლე მარხილი ქვებზე ასტი — დან-  
ტის „ნახ, ნახ!“ ვვირის იაკუტი, როდესაც მარჯვ-  
ნივ უნდა შეუსვიოს და კონიერი ბელადი-ძაღლი მა-  
შინვე მარჯვნივ შეუსვევს. მეზე მოისმის. „ნაჯი,  
ნაჯი!“ — მარცხნივო, უევირის ზატრონი.

ჭკვიანი ზატრონი ვრიდება ძაღლების ცემას,  
რადგან გაჯავრებულები თასმებს დაჭკლეჯენ და  
ატედება ერთი უბედურება! მარხილის ხელ ახლათ  
მოწეობა მოუნდებათ.

ძაღლები სწრაფათ კარბიან, მაგრამ თუ კარეული  
ირმის ალღო აიღეს, შედგებიან. მეზე ისევე გაეჩანე-  
ბიან, მხოლოთ მეორე მხარეს, სადაც ირმის ნავალია.  
უფროსი ჯავრობს, რომ ძაღლებმა გზას გადუხვიეს,  
მაგრამ რას გააწეობს, ბელადიც კი აღარ უჯერებს.

აი ძაღლები ქაქანით მივიდენ კლდესთან. აქ კი  
ველარ ნახეს ნავალი, სუნავენ ჭაერს, ლამობენ კლ-  
დესე ასვლას, მაგრამ დაღალულნი არიან, ვერც ასე  
ძაღლა ავლენ. ენა გამოგდებულნი კლდის ძირას  
წვებიან. ზატრონს მეტი გზა არ აქვს, ელის მათ  
დასვენებას.

— აბა ახლა ხომ დაისვენეთ, უევირის იაკუტი.  
ჩაჯდება მარხილში და ბელადს მისძახებს: „ნახ, ნახ!“

ბელადი შეუსვევს მარჯვნივ და ეველა ძაღლები  
გამოუდგებიან მას. ახლა საქმე კარგათ მიდის. ისინი  
მისვდენ, რომ გზა უძევთ ნაცნობ სოფლისკენ და  
მწეობრათ გასწიეს.

საღამო სანს მივიდენ სოფელში. სანამ ჰატრონი გაჭარს უცვლის ტყავებს თავისთვის საჭირო საქონელსე—ძაღვები ისვენებენ. მეორე დღეს უნდა დაბრუნდენ სახლში, ძაღვები ახლა ასე სირბილით კი ვეღარ წავლენ. ზირ ქარი ჰქრის, თოვლის კვირტები ძაღვებს თვალებში ეერებათ, თოვლ—ბუქი ატყდა. ქარს სისინი და ღმუილი გააქვს. თოვლის კორიანტელი დგება, მთელი არე-მარე ივსება ნამქერით, აღარა მოხანს რა.

მკსავრს ეშინიან, რომ თავის ბინას ვერ მიადლწევს, ჯერ შორს არის. მაშინ სხვა გზა აღარ რჩება,—გადააბრუნებს მარხილს და მას ამოეფარება, რომ ნამქერისაგან დაისხნას თავი. მას გვერდით მოუწევა ბიან ძაღვები და ათობენ ერთმანეთს. თოვლი კი მოდის და მოდის და თეთრათ ეფინება ამ გროვათ მიწოლილ მომაკვდავ არსებებს. დროთი-დრო ესენი თოვლს იშორებენ, რომ სული არ შეუკუბდეთ.

ბევრი საათები გადის ასე. ბოლოს ქარ-ბუქი წუნარდება. ქარი ჩავარდება. იაკუტი თოვლს სელებით იშორებს, ძაღვებიც ცდილობენ თათებით გზა გაიკვლიონ და ვეელანი გამოდინან თავიანთ ბუნაგიდან. გარშემო რბილი, თეთრი თოვლი ძევს. გზა სრულებით არა ჩანს. მაგრამ არა უძავს რა. ჩრდილოეთის ძაღვები საოცარი ეურძასვილები არიან. ისინი ბინისკენ ეოველთვის გაიგნებენ გზას.

იაკუტი ჯდება მარხილში დარწმუნებული, რომ

ძაღვები მშვიდობიანათ მიიუკანენ ბინაზე.

ამ ხალხს ძაღლი რომ არა ჰქვანდეს, ვერც იცხოვრებდა ამისთანა მკაცრ შორეულ ჩრდილოეთში.

ან. წერეთლისა.

## მზეთ უნახავი.

**იანვრის** ნომერში დაბეჭდილი მნ გვერდზე „მესტირე დაიწეეს“  
უნდა შემდეგი ლექსი ჩაერთოს.

გწყალობდეთ მალლა ღმერთი, უფალი ზეციერი.  
ბართბატონი ბრძანდები; პატივს გცემს მთელი ერია!  
მასპინძლობ ყველას, ვინც მოვა, ქრისტიანი თუ ურია,  
აღსავეს ხარ ყველაფერითა, ბევრი გაქვს ღვინო—  
პურია!...

**ბართბატონი** (გააწევეტინებს) მე თუ მახსენებ—ჩემი ასული  
გალექსე!

**მესტირე** (მზეხას) მზეთ უნახი ხარ, ასულო, უოფა-ქცევა  
გამშვენებდა,

ნიშნად შენის სილამაზის, მზე და მთვარე გეფინება!  
საცა წახვალ და წამოხვალ ია-ვარდი ქვეშ გეშლება,  
შენსა მნახველს გულის-ჭირი გადაუვა, გადყრება!

**მასხარა.** ეგ შაირი კარგი იყო და მაგისტრის პანდურის  
ღირსი ხარ!



# გზეთ უნახავი.

სამ მოქმედებიანი პიესა

მოქმედება მეორე.

**სცენა.** მზეთ უნახავის საპირფარეშოს ოთახი ტახტებით, მშვენიერი ხალიჩებით და მუთაქა-ბალიშებით მორთულ-მოკაზმულია. კედლებზე თახჩები და განჯინები ძვირფასი ნივთებით არის ავსილი. პატარა მაგიდაზე სდევს პატარა ოქროს ყუთი ძვირფასი სამკაულებით. ფარდის აწვევის დროს სცენაზე გადია ფუსფუსებს და წამდა-უწუმ თანჯარაში გაიყურება. ორი მსახური გოგო ალაგებს ოთახს.

## პირველი გამოსვლა.

**გადია.** აბა, შეილებო, კოხტა და ლამაზებო, გამრჯე და მარდებო, მიალაგ—მოალაგეთ აქაურობა! საცაა ჩვენი მზეთ უნახავი მობრძანდება, ჩვენი იმედი და ნუგეში, იმას შემოევლოს ჩემი თავი!...

**პირველი გოგო.** ჩვენ რომ დავალაგებთ ოთახს იმას რა სჯობია...

**მეორე გოგო.** ოთახი ისეა დამშვენებული, კაცს სამოთხე ეგონება!..

**გადია.** კარგია, თქვე კუდრაქებო, ტყუილ უბრალო ტრაბახებო!.. მე რომ თავს არ დაგტრიალებდეთ, რას ივარგებდით!.

**ორი გოგო.** (ერთად) სულ შენა დაშენ, ჩვენ კი არაფერი (იციინან)

**გადია.** რატომაც არა; თქვენც ყოჩაღები ხართ, მაგრამ ტრაბახობა კი კარგი არ არის... აბა გახსენით ფრთხილად მზეხას ოქროს ყუთი, ნელ-ნელა ამოალაგეთ

მისი სამკაულები... (გოგოები მაგიდასთან მიდიან და უუთს გახსნიან) ვერ იქნა, ვერაფრით ვერ გავართე და ვერ გავამხიარულე ჩემი მზეთ უნახავი. იმ დღეს იქით, რაც იმ შეჩვენებულმა მოხუცმა ბერიკამ აწყენინა, თავის ღონეზედ არ არის ჩემი ანგელოზი; სულ ნაღველობს და სწუხს... ერთი ხელში ჩამივარდეს ის წყეული ბერიკა, ვუჩვენებდი სეირსა. სულ დავაწიწკნიდი იმ გრძელ წვერ—ულვაშს! არა, რა მოიგონა!! „არც მოგესალმები და არც დაბლა თავს დაგიკრავო“! (მუქარით) მე შენ დაგაკვრევენებ იმ შენ წოპწოპა თავსა!... (შეჩერდება და უუთს უგდებას) მგონი მოდის ჩემი მზეთ უნახავი. სწორედ ის არის—ჩვენი ორთავ თვალის სინათლე!..

### გამოსვლა მეორე.

- მზეხა.** (შემოდის მზეხა და თან შემოდის მასთან ერთად ძიძა. მზეხა გაქანება და გულში ჩაიკრავს გადას) ოჰ, ჩემო კარგო ვაღია! (ატირდება)
- ვაღია.** (შეშინებული) ვუი შენ შემოგველოს ჩემი თავი! რად სტირი, ჩემო სიცოცხლევ?! თვალი ხომ არავინ გკრა?! (ძიძას) ძიძავ, ხომ არსად ყოფილხართ?—ხომ არავინ შეგხვედრიათ?
- ძიძა.** (შემკრთაფი) სულ არავინ გვინახავს და არც სადმე ვყოფილვართ ჩვენი ბალის გარდა!
- ვაღია.** მაშ რა ამბავია მაგის თავზე?
- მზეხა.** ვაღია, მაშ რად მეძახიან მზეთ უნახავს? რად ამბობენ რომ მე ლამაზი ვარ?
- ვაღია.** ლამაზი ხარ და ავრე! მთელს დუნიაზე შენი ბადალი არ ვინ არის და მზეთ-უნახავს იმიტომ გეძახიან, რომ თვით მზეც კი შენისთანა მშვენიერების მნახველი არ არის!
- მზეხა.** მაშ ის ბერიკაცი!...
- ვაღია.** როგორ? კიდევ შეგხვდა სადმე? (ძიძას) აკი არა.

- ვინ გვინახავსო?
- ძიძა.** (შემკრთალი) დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა... ბაღის ბოლოს კი არ შეგვეფეთა უცაბედათ!...
- გაღია.** მერე... მერე.....
- ძიძა.** ის შეჩვენებული წინ გადაგვიდგა და ისე მოურიდებლად კი მოგვახალა. „არც სალამს მოგცემ და არც დაბლა თავს დაგიკრავო!...“
- გაღია.** ერთი დამაცადოს იმ ბებერმა! თუ ხელთ ვიგდე, მე ვიცი რასაც ვუხამ, თავდაღმა ქაში ჩამოვკიდებ! სულ ბუსუსებს დავაწიწკნი!
- მზეხა,**  
**გაღია.** (ატრემჯებუჯი)... შენ ღირსი არა ხარო! ღირსი არა ხარო?! ვუი იმას კი დაუდგა ორთავ თვალები!.. მაშ ვინ არის ღირსი!?... იჰ, ჩემო სიცოცხლევე, თავს ნუ უყადრი იმ წუწკსა! რაც უნდა ისა სთქვას, შენ არაფერი არ დაგაკლდება, ჩემო ნუგეშო!...
- მზეხა.** ნეტა რა დაუშავე, მამა ჩემი პირველი კაცია, ყველა ჩვენი მადიდებელი და პატივის მცემელია... ყველა ჩემს ქება-დიდებაშია და ის ბერიკაცი კი ღირსათაც არა მცნობს (ტარის)
- გაღია.** (ამშიადებს კაფჩა-აჯესით) შენ კი შემოგველოს შენი გაღია, ღირს და ის წუწკი შენს ცრემლებს?! არ იტირო... თვალებს ნუ იფუჭებ, ჩემო სიამაყევე!... აი თუ გინდა ატამი, აი მშვენიერი მსხალი, აი თურაშაული ვაშლიც...
- მზეხა.** არ მინდა, არა, გაღია, არა!...
- გაღია.** მაშ ამ სამკაულებს დახედე.., რა ძვირფასი თვალმარგალიტები... მთელს ქვეყანაზე შენს მეტს-სხვა არავის არა აქვს მაგისტანები!...
- მზეხა.** მე არაფერი არ მახარებს და არც არაფერი მახალისებს.
- გაღია.** მაშ თუ გინდა ჩვენს ქონდრის კაცს-მასხარას დავუძახებ და ის გაგართობს!...



**მზენა.** არა, გადია, მე ვერაფერ ვერ გამართობს... ჩემი დარდი და ნაღველი ის არის, რომ როგორმე ბერიკამ სალამი მომცეს და ღირსათაც მიცნოს. მანამ კი მე ვერაფერა ვერ გამახარებს და ვერც გამართობს....

**ორი გოგო.** (ფანჯარაში რომ ისედეგდნენ) დიდი ბატონი მობრძანდება!

### ბამოსვლა მესამე.

**ბართბატონი.** (შემოდის. მზენს მიეგებება მამას) ჩემო თვალის ჩინო, ეს ცრემლის მარგალიტები შენს თვალეზზედ, რა მიზნია?!

**გადია.** დიღო ბატონო, მიწა გამისკდეს და შიგ ჩამიტანოს ის მირჩვენია, ვიდრე მაგის ცრემლების დანახვა!....

**ძიძა.** ნაღვლობს, დარდობს, სწუხს და ტირის. ...

**გადია.** გახდა კიდევ, ფერი დაკარგა!....

**ძიძა.** არა სქამს, არა სვამს, ძილიც გაუფრთხა!

**გადია.** მოთმინების საწყაო გაშრა! დიღო ბატონო, ერთი უბრძანეთ, ის შეჩვენებული ბერიკა გაბაწრონ და საკვანში ჩააღობონ!

**ძიძა.** „არც მოვესალმები და არც დაბლა თავს დაგიკრავო!....

**გადია.** აბრაზებს და აღიზიანებს ჩემს მშვენებას....

**ბართბატონი.** მესმის და გავიგე! (ჩამოჯდება და ქაღს მუხლზე დაისვამს, ეაჯესებს და ჭკოცნის) მაშ ბერიკა თავს არ გიკრავს?!

**მზენა.** (ტრიალით) ღირსი არა ხარო!....

**ბართბატონი.** ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო სიცოცხლევ! შენ ყველაფერის ღირსიც იქნება და ბერიკა დაბლა თავს დაგიკრავს.

**მზენა.** მართლა, მამიკო? როდის და? როდის?!

**ბართბატონი.** მალე, ჩემო თვალის ჩინო, ძრიელ მალე; მაგრამ ჯერ ყური დაიოდე! ხალხი პატივსა სცემს არა მართო გვარიშვილობას, მშვენებასა და სილა-

მაზეს, არამედ ჯკუა-გონებას, ცოდნა-განათლებას  
 და განვითარებას!...

**მზეხა.** ჭკვიანი მინდა ვიყო, მამიკო! მინდა ვიყო სწავლით  
 განათლებული და ცოდნით განვითარებული!

**ბართბატონი.** აი გადღეგდელოს ღმერთმა! სწორედ რომ  
 მასიამოვნე, შვილო, მაგისტანა გადაწყვეტილებითა!  
 მე მოგგვრი საუკეთესო ბრძენს და მეცნიერს, რო-  
 მელნიც ყველაფერს შეგასწავლიან და მეცნიერო-  
 ბასა და სიბრძნეში გაგწრთენიან!

**მზეხა.** მაშ თუ ავრეა, მამიკო, უბრძანე მალე და ჩქარა  
 მომგვარონ მასწავლებელნი... ოღონდ კი ბერიკამ  
 სალამი მომცეს და დაბლა თავი დამიკრას. მე ერთი  
 წლის სასწავლს, ერთ დღეში შევისწავლი!

**ბართბატონი.** ჩემო მზეთ უნახავო! აბა შენ იცი! შვილო,  
 რაც მალე განვითარდები სწავლა-განათლებით, მით  
 უფრო მალე მიალწევ შენს საწადელს. ბერიკა დაბ-  
 ლა თავს დაგიკრავს და ღირსათაც გცნობს!...  
 მე კიდევ უბრძანე მოეყვანათ ბრძენი და მეცნიერი!

**მზეხა** ოჰ, რა მიხარია მამიკო! აბა, მალე, მალე? (გადა  
 და ძიძა უწმუნათ თავს იქნევენ. ამ დროს შორიდან  
 მოისმის სკანდალები სმა და დინჯათ შემოვლენ ბრძენი  
 და მეცნიერი მრავალ წიგნებით ხელში).

### გამოსვლა მეოთხე.

**ბრძენი** ((ერთად) დიდო თავადო, გეახელით შენს მოწო-  
**მეცნიერი.** ( დებაზე, გვებრძანე და გვიმსახურე!

**ბართბატონი.** იმისთვის დაგიბარეთ დარბაისელნო, სწავლა-  
 ცოდნით აღჭურვილნო, ბრძენო და მეცნიერო,  
 რომ შესაფერისად უწინამძღვროთ ჩემს ერთად-ერთ  
 ქალს, ჩემს მზეთ უნახავს! ასწავლოთ და განვი-  
 თაროთ გონება და აზრი მისი!

**მეცნიერი** ((ერთად) დიდებულს ადამიანს დიდებული აზრიც  
**ბრძენი.** ( მოუვა ხოლმე. სწავლა-განათლება ერთი  
 უძლიერესი იარაღთაგანია ცხოვრებისა და იმავე

დროს უპირველესი მიზეზი ყოველ-გვარი სიკეთისა და ბედნიერებისა! ამიტომ, ნორჩო-ასულო ისწავლე და გამეცნიერდი შენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილ დღეოთ!

**მზეხა.** ძლიერ ვარ მოწადინებული სწავლას და იმედიც მაქვს თქვენის ხელ-მძღვან ელობით მალე აღვიჭურვები სწავლა-განათლებით და ცოდნა-მეცნიერობით.

**მეცნიერი ბრძენი.** (ერთად) მაშ ისწავლე ყველაფერი რაც მეცნიერებას და სიბრძნეს შეუძენია კაცობრიობისთვის. აბა, დროს ნუ ვკარგავთ! (მეცნიერი და ბრძენი ჩამოჯდებიან მაგიდას ორთავ მხარეს, შუაში ჩამოჯდება მზეხა და სწავლობს)

**ვადია.** (ტრემ-მორეული მიმართავს ძიძას) ვაიმე, ჩემო საბრალო, ჩიტუნიავ! ეგ რა უბედურება შეგემთხვა!... სწავლა-განათლება ხომ ამოგიშრობს ჯანს და მშვენებას... რა ქალის საქმეა სწავლა-განათლება!..

**ძიძა.** (ტირილით) აი ამას ჰქვიან-ვაის გავფყარე, ვუის შეფეყარეო! ბერიკას გადაშვიდე ბრძენს და მეცნიერს გადაეკიდა!....

(მუხჯი სტენა. სიჩუმე ჩამოფარდება. მზეხა სწავლობს, — ხან ერთი მეცნიერი აძლეუს წიგნს, ხან მეორე; მზეხა ხან კითხულობს, ხან სწერს და ხან რაღასაც თქვამს და ანგარიშობს. ამ დროს შეიძლება მუზიკამ რამე ჩუმი მელოდია დაუკრას. ფარდა ნელ-ნელა ეშვება. რამდენიმე წუთის შემდეგ ფარდა ისევ აიწევა. მთელი სტენა ხალხით სავსეა, ქალები — კაცები, დიდი და მატარა)

**ბრძენი მეცნიერი.** (ერთად) ეხლა შენ სრულად განსწავლული ხარ და ჰკვა-გონებითაც განათლებული! იყავ კეთილი და დღე-გრძელი სამარადისოდ, რადგან ეხლა შენ ყველა ქალზე უფრო განათლებული და განვითარებული ხარ!

**ბართბატონი.** გმადლობთ, დარბაისელნო, სიბრძნე-მეცნიერებით აღჭურვილნო, რომ ჩემი ასული დააწაფეთ მეცნიერებას და განასწავლეთ ყოველ მხრივ!

**ბრძენი** ( (ერთად) მზეთ უნახავი იშვიათი ქალია: ლამაზი  
**მეცნიერი.** ( და მშვენიერი, გამრჯე და მეცადინე,  
 სწავლული და განათლებული. ქება და ღიღება  
 მაგისტანა ქალს. ქება და ღიღება მზეთ უნახავს!  
**ყველანი.** ქება და ღიღება მზეთ უნახავს! სალამი მზეთ  
 უნახავს!

### გამოსვლა მეოთხე.

**ბერიკა** (ერთბაშთ გამოხდება კარბუში) „არც სალამს მოგცემ  
 და არც გაღიღებ, რადგან მაგისი ღირსი არა ხარ!  
 (საერთო მოძრაობა. ზოგს დაჰყენა უნდა ბერეკასი, ზოგს  
 დარტყმევა, მაგრამ ბერიკა მალე გაქრება. ხმაურობა და  
 მუქარა ბერეკას წინამდდეგ. ცხველი სურათი).

### მოქმედება მესამე.

**სცენა.** ისევ მეორე მოქმედების საპირფარეშო ოთახი.  
 ღამეა. სანათურები ანთია. მზეხა მოწყენილი ფან-  
 ჯრისაკენ გაიყურება. მის ახლო დგას ძიძა ტიკი-  
 ნებით და ხელ-ყვავილებით; მზეხას ფეხ-ქვეშ მო-  
 თავსებულობა მასხარა. გაღია მოშორებით დგას  
 და რაღასაც ანიშნებს ძიძას და მასხარას და ფეხ-  
 აკრფით ეპარება მზეხას.

### პირველი გამოსვლა.

**გაღია.** (რტა ნელა-მიეზარება, ერთბაშთ შეუქმევს მზეხას  
 ქუა—ქუა!  
**მზეხა.** (შეჰკვიდეგს) ვუი! ეს რა ჰქენი? როგორ შემაშინე,  
 გაღია?!  
**გაღია.** ვუი ეშმაკს! ვუი ეშმაკს! ეგ განზრახ შეგაშინე,  
 შვილო, გამოგია შეშინება კარგიაო—მარგიაო....  
 ვილაცამ უეჭველია თვალი გკრა! სულ ავი-თვალის  
 ბრალია, ჩემო ნუგეშო!  
**მზეხა.** არა ჩემო, ძველო გაღია, ეგ ავი-თვალის ბრალი  
 არ არის!... ავი-თვალი აქ რა—შუაშია.... მე

- ეხლა განსწავლულიცა ვარ, ბევრი რამ ვიცი, ბევრი რამ ვამეგება, მაგრამ ბერიკა მაინც თავისას არ იშლის და თავს არ მიკრავს....
- გაღია.** აი სამარემ კი დაუკრას იმას თავი და თან ჩაიტანოს!
- ძიძა.** იქნება ჩვენო ხელმწიფევე, ტიკინით გაერთო... ააყველა შენი ტიკინები აქა მაქვს!
- მზენა.** აბა, რას ამბობ ძიძავ, რა ჩემი ტიკინების დროა ეხლა! განა განათლებული და განვითარებული ქალები ტიკინას ეთამაშებიან?...!
- ძიძა.** ჩემო მშვენიერო და ლამაზო! ტიკინას სწავლული და უსწავლელიც ეთამაშება ხოლმე. მე ისეთებიც კი ვიცი, რომელნიც გათხოვებულიც კი არიან და მაინც ტიკინებს ეთამაშებიან, როცა ქმრები თან არ ახლავთ ხოლმე. წინეთ ტიკინებს მზითევშიაც კი ატანდნენ, რადგან ტიკინებზედ ქალები ქრაკერვას სწავლობდნენ და სხვა ამისთანასა.
- მზენა.** შენ ძიძა ძველი შეხედულობის ქალი ხარ; მე კი ტიკინები ვერ გამართობენ... მე თუ გამართობს რამე, ისევ სწავლა და მეცადინობა!...
- მასხარა.** (გითამ ჩანგურზე უკრავს და თან ღიღინებს).  
სწავლა კარგია, მეცადინობა,  
სიბრძნე სიცრუე კაცს არ ეყოფა!
- გაღია.** შენ კი მასხრობა აღარ გეყოფა?!
- მასხარა.** (ღიღინით განაგრძნობს) არც შენ გეყოფა, ჩემო გაღია, ისე მოიქეც, რომ საქმეს არგო:  
არც შამფური დაწვა, არცა მწვადია,  
თუ გსურს ამ ქვეყნათ არ აიბარგო?
- გაღია და ძიძა.** (იღინიან და ქექლას აუჩიან მასხარას) ვუი, შენს კოტორა თავსა!
- მზენა.** (რადსაც ფანჯარასთან ეურს უგდებს, გაკვირვებული)  
ძიძავ, გაღია, მგონია ფანჯარას იქათ ვილაც ტირის!
- გაღია.** ეგ, ჩემო ნუგეშო, ქარი ჰქრის და შენ ტირილათ გესმის!

- მზეხა** არა, გადია, ეგრე ქარს ტირილი არ შეუძლიან....
- ძიძა.** ეგ ალბათ ტურა—მეღლები თუ არიან; ახლო-მახლო მგეღლები და ნადირები ნაგარდობენ.
- მასხარა.** ოჰ, დიდება თქვენს ჭკუასა და გონებას! აქ ტურა-მელას და ნადირს რა უნდა!? ტყეც ისე შორსაა, ერთი დღეც რომ იარო მაინც ვერ მიადწევ! მართალია, ტურა-მგელს სეირნობა უყვარს, მაგრამ ქუჩებში კი არ დაიარებიან, არამედ საქათმესა და ჯაგებში (დიდინით)
- თქვენ რომ გკითხოთ ტურა-მელა,  
 დასეირნობს ქუჩებშიო,  
 მაგისტანა სიცრუესთვის  
 თქვენ გაკოცებთ ტუჩებშიო!
- მზეხა.** მოითმინეთ, მოითმინეთ! მე აშკარათ მესმის კვილი „მიშველეთო“
- მასხარა.** მეც არაფერი მესმის, მაგრამ რაც ჩვენს მზეთ უნახავს გულით ესმის ის მე ყურით მესმის...
- მზეხა.** მოითმინეთ! მე არ ვსტყუვდები, თქვენ ყველანი ცრუობთ.... მე აშკარად მესმის, რომ ამ წყვედიაღმბავშვები ტირიან. უთუოდ მინდა გავიგო სიმაართი ლე და სინამდვილე! მეტყვით თუ არა, რა ხდება გარედ?! (წამოაღწიე ხანი სიჩუმეა. მზეხა ჯანჯრიდან გაიუურება, წყვედაღში) ღვთის გულისათვის მართალი მითხარით: რად ტირიან? რა აწუხებთ? რა არის მათი გოდების მიზეზი? გადიავ! ძიძავ! ჩემო მასხარავ, შენ მაინც მითხარი სიმაართლე, ნუ მომერიდები! შენ ხომ სიმაართლეს თქმა გიყვარს!
- მასხარა.** რა ვქნა, მე კრიჭა შემეკრა! გადიამ მოგახსენოს, თორემ ვაი თუ მათრახები მომხვდეს!
- მზეხა** აბა გადია! სთქვი!
- გადია.** (მოკრძალებით) ეგ, ჩემო სიცოცხლე, ბავშვები ტირიან და პურს თხოულობენ... მართალი ხართ ტირიან და შვებას ითხოვენ, რადგან მათ მხარეს

- მოსავალი არ იყო და უქმელ—უსმელნი არიან! მშობლებმა ბავშვები წინ გამოიძლოეს და ასე მოდიან ტირილით და გოდებითა!
- მასხარა.** მერე რამდენი მოდიან?! მოდიან მარცხნივ, მარჯვნივ! ყოველ მხრივ მოდიან, საბრალონი!
- მზენა.** ღმერთო დიდებულო! რა საცოდაობაა! ერთი მითხარით, როგორ მივეშველო, როგორ შეუშროო ცრემლები?
- მსახური გოგო.** (შემოდის) დიდი ბატონი მობრძანდება. (შემოვა ბართბატონი)

### გამოსვლა მეორე

- მზენა.** (მიეკეკება ცრემლ-მორყული) მამა, მამიკო, შენ გენაცვალე, შენი ქირიმე, უშველე რაიმე დამშეულთ და საცოდავთა, აჭამე და ასვი! ძალზე დამშეულები ყოფილან! აბა, მამიკო, შენ იცი და შენმა კეთილმა გულმა!
- ბართბატონი.** ჩემო თვალის ჩინო, შენი თხოვნა რად მინდა? მე რაც შემიძლიან ვშველი კიდევ და ვეხმარები. მაგრამ მე მარტო ერთი ამოდენა უბედურთ რას გაუძლებ. საღ მაქვს იმდენი ძალა და შეძლება, რომ ყველა გამოვკვებო! თუ ყველაფერი დავარიგე, მაშინ მეც ხელ ცარიელ-ტარიელ დავრჩები და არც ჩვენ გვექნება საქმელ-სასმელი!
- მზენა.** როგორ ტირიან! როგორ ჰგოდებენ! მამიკო, ნება მომეცი ყველა ჩემი ტიკინები, გასართობები, ავეჭი და ნივთები, ძვირფასი განძები და თვალმარგალიტები გავყიდო და მათ მოვახმარო!
- ბართბატონი.** (თანხმობის ნიშნათ თავს უკრავს) იყოს ნება შენი!
- მზენა.** (უკვლას) აბა თქვენ იცით! გადა, ძიძა, მასხარა და სხვა მსახურები, სკივრიდან ამალაგებენ ნივთებს, განჯინებიდან აქრას, ვერცხლს და გააქვსთ ზატარა ტოფრაკებით)

- მზენა.** როგორ მეცოდებიან და მებრალებიან პაწია ბავშვები და დამშეულ—დაავადებულნი! (გასწნის თავის ოქროს უთს) დედის საყელური და სამაჯური. (ჩაფიქრდება) ჩემი ცხონებული დედიკოსი! ვენაცვალე დედიკოს!..
- გაღია.** (სწრაფად) არა, შვილო, ეგ ძვირფასი განძია... მაგას ხელს ნუ ახლებ, დახურე ყუთი! შეინახე! დამალე!! ეგ ცხონებული და სულნათელი დედიშენის სახსოვარია!
- მზენა.** დედა ყველაფერს ხედავს ზეციდან, მე ვიცი, დედის გული დალოცავს თავის ქალის საქციელს, დიახაც ძვირფასი და მარადისია, მაგრამ თუ მაგის ფასი რამდენიმე ათას ადამიანს დაიხსნის და სიკვდილს გადაარჩენს—დაე, დღეიდან ნულარ მექნება! მამიკო, ნება მომეცი გავყილო დედის სახსოვარი!...
- ბართბატონი.** რასაც შენი გული გიკარნახებს, რასაც შენი სპეტაკი სული გიბრძანებს, ისე მოიქეცი!...
- გაღია.** აბა, რად, რად აძლევთ, დიდო ბატონო, მაგის ნებას!...
- მზენა.** (გაუწყდის განძს მასხარას) აბა, ჩემო ერთ-გულო მასხარავ, მე ვიცი შენი კეთილი გული, გაიტანე ეს ძვირფასი ნივთები და ფულათ აქციე! ბევრი ფული იყოს!... იყიდეთ სანოვაგე, პური! ბევრი პური და დაურიგეთ დამშეულებს და უბედურებს. დედის წმინდა სული ზეციდან დალოცავს თავის მხეთ უნახავს!!! (ამ დროს კარებში გამოჩნდება ბერიკა, ძირს მუხლებზედ დაეცემა და დაბლა თავს დაუკრავს მზენას)
- ბერიკა.** (ხამადლად) გიძღვნი სალამს და თავს დაბლა გიკრავ თვით დედა-მიწამდე, რადგან პატივსა ვცემ შენს კეთილ გულს და სასოებას! იყავ დღე გრძელი! (ცოცხალი სურათი. ფარდა ნელ-ნელა ეშვება, ხორამღერის კულისებში)





## აქაქა.

ოცა მზე ამოიმაღლებს  
მოკრიალებულ ცაზედა  
და ოქროს სხივთა მარაო  
გადაიშლება მთაზედა, —  
ლაღი ვარ, ლაღად დამიდის  
ნახირი საძოვარზედა!

აი, დაჰბერა ნიავმა,  
ტყემ ცქვიტად დაიშრიალა,  
დაიქანქანა შოშიამ,  
ბულბულმაც შეიფთხრიალა,  
ამღერდა მთელი ბუნება,  
აჟღერდა ჩანგი წკრიალა!

ღმერთო! რა სანახავია!  
რა ძვირი გასავონია!  
ძმობამა, ჩემზე მდიდარი  
მე სხვა არავინ მგონია!

გ. ქუჩიშვილი.

# ქ ვ ე ლ კ ო უ კ უ ი.



(თარგმანი)

აღამო უამი იყო. დედა ფორტოპიანოსთან იჯდა და საუცხოვეო რაღასაც უკრავდა. გვერდით მისი პატარა შვილი კოწია მოსდგომოდა და ყურს უგდებდა. კოწია გრძნობდა თითქოს რაღასაც ნაზი და მეტად სასიამოვნო ციმციმით ვადადიოდა დედის თითებიდან პირდაპირ მის გულში.

— რას უკრავდი, დედა? ჰკითხა კოწიამ, როდესაც მან დაკვრა გაათავა.

— შოპენის მუსიკას, მიუჯო დედამ.—მოგწონს?

— დიახ, რას ნიშნავს, „შოპენი“?

— ეს იმას ნიშნავს რომ ის, რასაც ეხლა ვუკრავდი, შოპენმა შეთხზა. კოწიას ეუცხოვა, რომ მუსიკის შეთხზვაც შეძლებულა. აქამდის მან ის იცოდა მხოლოდ რომ თხზავდნენ ლექსებს, მოთხრობებს. ჩაფიქრდა და ცოტა ხანს უკან ჰკითხა:

— ვინ იყო შოპენი?

დედამ კოწია კალთაში ჩაისვა და კითხვითვე უპასუხა:

— გინდა შოპენზე გიამბო?

კოწიას ძალიან უყვარდა, როდესაც რასმეს უამბობდნენ ხოლმე.

— მიაგბე.

კოწია დედის კალთაზე გასწორდა და მოემზადა მოსასმენად.

— აბა, დამიგდე ყური,—დაიწყო დედამ.—ქალბატონი

პლონას მეტად ბევრი საქმე ჰქონდა. თავის მამულში ვოლია-ში, ვარშაგის ახლოს მოულოდნელად მოვიდა პლონას ბატონი გრაფი ალზინოვსკი და თან თავისი მეგობარი თავადი რადზივილი მოიყვანა. ამათ კიდევ მრავალი სტუმარი მოჰყვა. ქალბატონი პლონა სახლის გამგე იყო და, რასაკვირველია, ყველაზე მას უნდა ეზრუნა. წინ და წინვე უნდა გაეთბო ბატონის უშველებელი სახლი, რომელშიც დიდი ხანია არავინ ცხოვრობდა. ამას გარდა ქ. პლონას თვითონაც აუარებელი სტუმრები ჰყავდა, რომლებზედაც არა ნაკლები ზრუნვა სჭირდებოდა. ეს იყო მისი ოთხი შვილი-შვილი, რომელნიც ვარშაგიდან აქ მოსულიყვნენ სააგარაკოთ, თან ერთი პატარა, სუსტი ცხრა წლის ბიჭი წამოყვანათ, სახელათ ფრედერიკი, ანუ ფრედი.

ეხლა, როდესაც უკანა ეზოში ყველა ბავშვები თვალხუჭუნას თამაშობდნენ, ქ. პლონას თავ-ბრუ ესმოდა ბევრი საქმისაგან და თავისთვის ლაპარაკობდა:

— ოხ, ღმერთო ჩემო!... ნეტა წესიერად მაინც იქნებოდეს ყველაფერი! კმაყოფილნი დარჩებიან გრაფი და თავადი?

გრაფის მზსვლამდის სახლი უკვე გაწმენდილი, დასუფთავებული, დალაგებული და მიწყობილ-მოწყობილი იყო. ქალბატონი პლონა ცდილობდა, რაც შეეძლო. თავის ალვას დარჩა ბოლომდის, რაც ქველ კოშკში იდგა, გრაფ ალზინოვსკის ბებიის დიდი ხნის გარდაცვლილ გრაფინია ბრონისლავის ოთახში. იქვე კედელთან ამ გრაფინიას ძველებური ფორტოპიანო იდგა. სწორედ ამ ფორტოპიანოს ზემოდ გრაფინიას სურათი ეკიდა. ხოლო ამ სურათს სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა. გლეხებში ხმა დადიოდა, ვითომ მოხუცებული ბრონისლავა წელიწადში ორჯერ, თუ სამჯერ, გამოდიოდა ღამე თავის ჩარჩოდან და თავის საყვარელ ფორტოპიანოს უკრავდა. პირველ მამლის ყვილზე ვითომ ისევ თავის ჩარჩოში ბრუნდებოდა.

დაბინდა. ქ. პლონამ თავის შვილი—შვილებს დაუძახა

ვახშმათ. ძველებურ მუხის მაგიდაზე უკვე ცხელი რძის ფლავით პირამდის საცხე ჯამი იდგა. რადგანაც ამ ჟამათ აქ წარჩინებული პირნი სტუმრობდენ, ამიტომ ბავშვების მაგიდაზე ხშირად რამე გემრიელი საქმელი გაჩნდებოდა ხოლმე. ამ საღამოს ყველასთვის ტკბილი ქაღები ეწყო.

— ჩქარა მოდიო, ბავშვებო, რძის ფლავი გაცივდება!

ვაცკვი, სტასი, კარინკა და ფრუზია ოთახში შემოცვივდენ და მაგიდას შემოუხსდენ.

— ფრედი სადღაა? ფრედერიკი სად არის? ჰკითხა ბავშვებს ქალბატონმა პლონამ.

ბავშვებმა ერთმანერთს შეხედეს.

— მართლაც, სად არის ფრედი! სთქვეს მათ. ეს არის ეხლა ჩვენთან იყო!

— წადით, მოძებნეთ! სტუმარია. უსტუმროთ განა შეიძლება სუფრაზე დაჯდომა? ბავშვები წამოცვივდენ და წავიდნენ საძებნელათ. გადაჩხრიკეს ბუჩქები, სადაც ფრედი იმალებოდა ხოლმე თვალხუჭუნას თამაშობის დროს, ბოსტანშიც ყველა კვლები გადაათვალიერეს, მაგრამ ფრედი არსად იყო.

— სად უნდა წასულიყო? ოთხივე ბავში მებატონის სახლის კუთხესთან გაჩერდნენ და ერთმანერთს შესცქეროდნენ ეს ყველაზე უფრო ძველი ნაწილი იყო ამ სახლისა, რომელიც სულ მთლად ფოთოლით იყო შემოსილი: ეს იყო ნაშთი იმ რაინდული სახლისა, რომელიც ოდესღაც სწორედ ამ ალაგას მდგარა და მერე ომის დროს დანგრეულა.

ამ კოშკის ქვის კედელზე ლომის თავი იყო გამოქანდაკებული, რომლის პირიდანაც დღე და ღამე ხმაურობით გადმოჩუხჩუხებდა წყალი. მაგრამ ბავშვებს არ ესმოდათ არც ამ ნაკადის ჩუხჩუხი, არც ხეკაკუნას კაკუნი ხეზე, ესენი ერთმანერთს ეკვროდნენ მშიშარა ცხვრებივით და გულგახეთქილნი ფანჯრისკენ იცქირებოდნენ. ეს ფანჯარა კიდევ კოშკის იმ ოთახიდან გამოდიოდა, სადაც გრაფინიას ფორტოპიანო იდგა და მისივე სურათი ეკიდა.

ესლა ყველას საშინლად უკანკალებდა გული, რადგან მათ თავისი ყურით ესმოდათ ფორტოპიანოს ტკბილი ხმა, რომელიც ბებიას ოთახის ფანჯარიდან გამოდიოდა.

— გესმით? იკითხა ვაცეკმა.

— ჰო,— მიუგო ფრუზიამ.— ვინ არის ესა?

ვერც ერთი მათგანი ალაგიდან ვერ დაიძრა, რომ პატარა ახლოს მისულიყო და ფანჯარაში შეეხედა.

— ეს გრაფინია ბრონისლავა გამოსულა ჩარჩოდანა და უკრავს.

სუყველანი ერთ ალაგს გაშეშდნენ.

მუსიკა შესწყდა. როდესაც ბავშვები გონს მოვიდნენ, ცოტა ხანს კიდევ სძებნეს თავისი სტუმარი და რომ ვერ იპოვეს, ისევ სახლში დაბრუნდნენ.

ბავშვებს პატარა ფრედი სახლში დახვდათ; იგი მოთმინებით ელოდა მათ, რომ ყველას ერთად ევახშმათ.

— შენ გაიგონე?— მიმართეს ფრედის ბავშვებმა, რომ გრაფინია ბრონისლავა ჩარჩოდან გამოვიდა და უკრავდა.

მაგრამ პატარა ფრედის თითქოს არა გაუგონია რაო. ბავში ერთ წერტილს მისჩერებოდა, თავის საკუთარ ფიქრებში იყო გართული. კოვზსაც, მხოლოდ მაშინ მოჰკიდა ხელი, როდესაც ქ. პლონამ პირდაპირ უბრძანა:— ჰამე!

— სად იყავი! ჰკითხეს ბავშვებმა. რად გვემალები და გვაჯავრებ? სად გაგვექეცი?

ქალბ. პლონა გაჯავრებული იყო რომ რძის ფლავი გააცივებს და მეორედ მოუხდა გაცხელება და ყურიც არ ათხოვა ბავშვების ლაპარაკს კოშკიდან მოსმენილ მუსიკაზე. ხოლო ფრედის უცნაური ღიმილი უცბად მწუხარებათ შეიცვალა და მოწყენილის თვალებით შეხედა თავის ამხანაგებს.

გაათავეს ვახშიმი და მოემზადნენ დასაძინებლად.

ბავშვებს დავალებული ჰქონდათ ყვავილების მორწყვა ყოველ საღამოს დიდი სახლის წინ. ქ. პლონას მოაგონდა ეს და ჰკითხა:

— ყვავილები მორწყულია?

ბავშებმა ერთმანერთს გადახედეს. ყველგან მორწყეს, ხოლო იმ ყვავილების მორწყვა დაავიწყდათ, რომელნიც ბანზე იდგნენ ბოქვებით სახლის ძველ ნაწილში. ეხლა კი მათ იქ წასვლა ეშინოდათ. იქ ხომ ეს არის გრაფინია ბრონისლავა გამოვიდა თავის ჩარჩოდან და უკრავდა.

— მე წავალ, ეხლავე მოვრწყავ! სთქვა ფრედიმ, სარწყავს დაავლო ხელი და გასწია სახლისაკენ.

ამის შემდეგ გავიდა რამოდენიმე ხანი და გრაფინია ბრონისლავას ოთახიდან ისევ მოისმა ფორტოპიანოს ხმა. ბავშებს შეეშინდათ, ერთმანერთს მიეხუტნენ და თვალები დააქუციტეს.

— გესმით? ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანერთს. — კიდევ უკრავს. გამოსულა ჩარჩოდან.

მუსიკა შესწყდა!

რამდენიმე ხნის შემდეგ ფრედი დაბრუნდა. ისე ქლოშინობდა, თითქოს სირბილით დაიღალაო. გაიხადა, ხმა ამოუღებლივ ჩაწვა ლოგინში, დადო ბალიშზე თავი და თვალები დახუჭა, ვითომ დაიძინა.

— შენ გაიგონე? ჩუმათ ჰკითხა ვაცეკმა. — გრაფინია კიდევ უკრავდა! ნუ თუ შენ არ გეშინოდა?

ფრედიმ არა უპასუხა რა.

ბავშებმა მალე დაიძინეს და ქალბატ. პლონას სახლში სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორე დღეს გრაფ ალბინოვსკის სტუმრები ჰყავდა. ნასადილევს ერთმა სტუმართაგანმა დაუკრა ფორტოპიანო და ქალმა, რომელიც სიმღერით იყო განთქმული დაამღერა.

დიდის აღტაცებით და სიამოვნებით უსმენდნენ სტუმრები. მთელი დარბაზი ჩაჩუმდა. იმას კი არავინ ამჩნევდა რომ, სწორეთ ამ დროს პატარა ფრედი კარებთან ფარდას ამოჭფარებოდა; განაბულიყო და საშინლათ ღელავდა. პირველათ ესმოდა გამოჩენილი არტისტის სიმღერა; ამის გამო მიატოვა თავისი ამხანაგები და, როგორც პატარა ქურდი, შეიპარა გრაფის ოთახში და ფარდას ამოეფარა. იგი ამ სიმღერით

გამოწვეულ მღელვარებით ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა.

როდესაც მომღერალმა ქალმა გაათავა, ყველამ ტაში დაუკრა. ფრედი ისეთი აღტაცებული იყო რომ, თავი ველარ შეიკავა, გამოვარდა ფარდიდან და ამანაც დაუკრა ტაში და თან დაიძახა!

— ვაშა, ვაშა!

ეს იყო მიზეზი, რომ მას ყურადღება მიაქციეს. თვითონ გრაფინია მივიდა ფრედისთან და გაკვირვებით იკითხა:

— ვისია ასეთი კარგი ბავში?

სტუმრებიც მიუახლოვდნენ და ალერსი დაუწყეს.

— რა კარგი რამ არის! ამბობდნენ სტუმრები, ხოლო უფერულია და სევდიანი თვალები აქვს. ვისია? ვინ არის?

ამ დროს მსახური შემოვიდა დარბაზში და მოახსენა:

ეს პატარა ფრედია,—ქ. პლონას სტუმარი გახლავთ. იგი ღარიბი დედ-მამის შვილია. დედა პოლონელი ჰყავს, მამა ფრანგი. ეხლა ქ. პლონასთან არის სტუმრათ და ისიც ისე ექცევა, როგორც თავისიანს. ფრედი ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ მუსიკაში ცოტა რამ ესმის. ეკლესიაში გალობს და ფორტოპიანოსაც უბრაზუნებს.

სტუმრები გამოელაპარაკნენ ფრედის, მიუალერსეს, გრაფინიამ მურაბაც აჭამა, მაგრამ, ეხლა ფრედი საშინელი დარცხვენილი იყო, რომ თავი ვერ შეიკავა და ფარდიდან გამოვარდა ყვირილით. მოკრძალებით გადუხადა მადლობა და ისევ შეუმჩნევლათ გავიდა, როგორც შემოვიდა.

— სად იყავი? ჰკითხეს ამხანაგებმა, როდესაც ფრედი სახლში დაბრუნდა.

— მუსიკასა და სიმღერას ვისმენდი... მიუგო ფრედიმ. — იმ სახლში ისე კარგად უკრავდნენ და მღეროდნენ!

ეს ბავშვები თავის დღეში არ ყოფილიყვნენ ამ სახლში და, თვით „გრაფის“ გაგონებაც კი რალაცა შიშსა ჰგვრიდა მათ. ესენი შურით უყურებდნენ გრაფის სახლის გაჩაღებულ ფანჯრებს.

— ნეტავი იქ შემოიყვანა! . წამოიძახა ვაცეკმა.—ამბობენ რომ იქ ოქროს დგამია, ყვავილები, ყვავილები და კანფეტები!

ფრედიმ არა უპასუხა რა, წავიდა და ბნელ კუთხეში მიჯდა.

— ოჰო, ჩვენი ფრედი ისევ ოცნებას მიეცა! სთქვა ფრუზიამ.—სჯობს წავიდეთ, დავიძინოთ.

ოთხივენი დაწვნენ.

ფრედი ჩუმათ ადგა, ტანისამოსი ჩაიცვა და გამოვიდა ოთახიდან.

დალამდა. მთვარე ამოვიდა, მდინარიდან სიგრილემ წამოუბერა და თან ბაყაყების ყიყინიც მოისმა. სტუმრები დაიშალნენ. არტისტებმა აიღეს თავისი დასაკრავები, ნოტები და წავიდნენ. გრაფის სახლში სინათლე ნელ-ნელა ქრებოდა.

გრაფი ალზინოვსკი და თავადი რადზივილი ერდოზე გამოვიდნენ.

— რა ღამეა! წამოიძახა გრაფმა.—მზადა ვარ მთელი ღამე ამ მთვარეს ვუყურო, ვუსმინო მწერების კრიკინს და ბაყაყების ყიყინს!

თავად რადზივილს გაეღიმა.

— არა... მიუგო თავადმა.—მე კიდევ ამისთანა ღამეში დიდი სიამოვნებით მოვისმენდი მუსიკას საღამე ძველ კოშკში, ძველებურ ფორტოპიანზე, რომ გულს მოხვდეს და მისმა ხმამ ამ ღამის სიწყნარე და სილამაზე არ დაარღვიოს!...

— მერე რა! მიუგო გრაფმა —მე ძველი ოთახიცა მაქვს კოშკში და ძველებური ფორტოპიანოც. ხოლო ვისურვოთ რომ ამხლამ ბებია ჩემი გამოვიდეს თავის ჩარჩოდანა და დაუკრას...

ამ ღროს, უცბად ძველი კოშკიდან მოისმა ფორტოპიანოს ნელი, სევდიანი, ხან ოცნებით სავსე ხმა. თავადი და გრაფი შეკრთნენ და ერთმანერთს შეხედეს.

— რა უნდა იყოს ესა? დავიჯერო გლეხები მართალს ამბობენ? ნუ თუ მართლა გრაფინია ბრონისლავა გამოვიდა ჩარჩოდანა და ის უკრავს თავის საყვარელ ფორტოპიანოს.



პიანინოს ხმა კი სულ ისმოდა. იგი ხან აფრთოვანებული იყო, ხან სევდიანი და ადამიანს ჰოაგონებდა ნიავის ქროლას, ან მდინარის ჩუხჩუხს, ან კიდევ ალერსიან ზაფხულის დღეს.

გრაფი და თავადი ვერ გამოორკვეულიყვნენ; ამავე დროს ალტაცებით უსმენდნენ აქამდის, მანამ სულ არ მისწყდა მისი ხმა.

შადრევანი კი, რომელშიაც გამოქანდაკებული იყო ლომის თავი, გაბღღვრიალებულიყო და უწინდებურად ისვრიდა ცივ ნაკადს.

საღდაც კარები გარახუნდა. კიბიდან ქ. პლონა ლიტრით ხელში ჩამოვიდა, შადრევანთან მივიდა და ჭურჭელი აავსო.

— ქალბატონო პლონა, გაიგეთ მუსიკის ხმა! — მიმართა გრაფმა. — არ იცით ვინ უნდა უკრავდეს ქველ კოშკში!

ქ. პლონას ცოტათი ყურს აკლდა და ერთბაშად ვერ მიხვდა, და გულ გრილათ უპასუხა:

— ალბად მოგეჩვენათ, წარჩინებულო ბატონო! ალბად თქვენც, თქვენო ბრწყინვალეზავ, გწამთ ავო სულელები ამ ქვეყნათ. ჩემმა ბავშვებმა უკვე მიაბძეს, რომ ვიღაცა უკრავს კოშკში. მაგრამ მე მათ გავუწყერი და ვუთხარი რომ ვცემ, თუ კიდევ გაიმეორეს. რამდენი წელიწადია რაც ქველ კოშკში არავინ უესულა. ხოლო მართა პატარა ფრედი დადის იქ ყვაფილების მოსარწყავად...

— პატარა ფრედი...

სახლის პატრონსა და თავადს დღეს ეს სახელი მეორედ ესმით. გრაფმა ანიშნა თავად რადზივილს, რომ იგი მას გაპყლოდა. ქ. პლონა წავიდა თავის ოთახში. გრაფინია ბრონისლავას ოთახის ფანჯრიდან კვლავ გაისმა ქველებურ ფორტოპიანოს ხმა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ გრაფი და თავადი უკვე გრაფინიას ოთახის კარებში იდგნენ, ისმენდნენ ამ მუსიკას და თავიანთ თვალებს არ უჯეროდნენ.

მთვარეს უხვად გაეშუქებინა გრაფინიას ოთახი და მისი

სურათი ფორტოპიანოს მისჯდომოდა პატარა, გამხდარი ფრედი და უკრავდა. მისი მუსიკა იყო ისეთი, როგორიც ჯერ არავის გაეგონა. გრაფი და მისი სტუმარი განცვიფრებულნი იდგნენ უძრავად და უსმენდნენ პატარა, საუცხოვო არტისტს.

ბავშმა გვერდზე მოიხედა და დაინახა რომ მარტო არ იყო.

აგზნებულის თვალებით წამოვარდა სკამიდან და კარებისკენ გაექანა, რომ აქედან მალე გავარდნილიყო გარეთ, მაგრამ კარებში იდგნენ გრაფი ალზინოვსკი და თავადი რადზივილი. თავადმა დაიჭირა კარებში ბავში, აღერსიანათ მოჰხვია ხელი და ალტაცებით და განცვიფრებით ჩახელა შიგ თვალეებში.

— ვინა ხარ? ჰკითხა მან.— რას უკრავდი ეხლა? ვინ გასწავლა?

ბავშმა შიშით შეხედა თავადს.

— ეს მე.... კრძალვით დაილაპარაკა.— პატარა ფრედი გახლავართ..... შაპატიეთ, აღარ ვიხამ თავის ღღეში.....

— გვითხარი, რას უკრავდი, აი ამ საათში? გაიმეორა თავადმა.

— არ ვიცი.... განაგრძობდა ბავში და უცხად ტირილი ამოუშვა.— იმას ვუკრავდი, რაც თავში მომდიოდა.... ვთხზავდი.—

ფრედიმ უცხად შეჰყვირა, გამოუსხლტა ხელიდან თავად რადზივილს და გაიქცა. გრაფი და თავადი უყურებდნენ ერთმანერთს და დიდხანს სიტყვა ვერ ეთქვათ. მეტად იყვნენ გაკვირვებულნი. კარები გარახუნდა და ესენიც მიხვდნენ რომ ფრედი უკვე სახლში შევიდა. გაუითრებულის, გულამოვარდნილი ფრედი ოთახში შევარდა. თან ეშინოდა— არ დაესაჯათ, რომ კოშკში შეიპარა და სხვის ფორტოპიანოს უკრავდა. მას ხომ შიგ კოშკში მოუსწრეს ფორტოპიანოზე და ამის გადათქმა არ შეიძლებოდა. იგი იწვა ლოგინში, თავ-პირი ბალიშში წაეყო და ცხარეთ ტიროდა.

(დასასრული შემდეგ)

მ. იაშვილისა.

# ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი შ ი

( გ ი მ ნ ა ს ტ ი კ ა )



ყო უწინ დრო, როცა ტანვარჯიშს (ანუ გიმნასტიკას) ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდენ. ძველ საბერძნეთში ისეთი კაცი თითქმის არც კი მოიპოვებოდა, რომელიც ტანვარჯიშში გაწვრთნილი არ ყოფილიყო. და, ამიტომაც, ძველ ბერძნების სილამაზე, სიმხნე და გამძლეობა მთელ მსოფლიოში განთქმული იყო. ძველ ბერძნების ტანვარჯიშში ისე საუცხოოვთ ანვითარებდა ადამიანის ტანს, რომ, მარმარილოზე გადმოღებული მათი სიმშვენიერე, ეხლაც კი, სილამაზის მიუწვდომელ მწვერვალათ მიგვაჩნია.

ერთ დროს პატარა საბერძნეთზე მთელი უწინდელი ბუმბერაზი სპარსეთი გამოილაშქრა. აუარებელი მტრის ჯარი ზღვიდან და ხმელეთიდან შემოესია საბერძნეთის საზღვრებს. დიდებული და მძლავრი სპარსეთის მეფე დარწმუნებული იყო, რომ მოკლე ხანში დაიმონებდა ამ პატარა ერს. მაგრამ ხანგრძლივი ტანვარჯიშობით გაწვრთნილი, გულადი, მხნე და თავისუფლების მოყვარე ხალხის დამონება ასე ადვილი არ არის! საბერძნეთი ადგა, როგორც ერთი კაცი და მედგარი ბრძოლაში ერთიანად მიღწეწ-მოღწეწა სპარსელთა უთვალავი ლაშქარი. ბერძნების ასეთი გმირობამ მთელი დედა-მიწა განცვიფრებაში მოიყვანა, ხოლო თითონ გახარებულმა ბერძნებმა კი სახალხო ტანვარჯიშობით იღრესასწაულეს თავისი გმირული ბრძოლა და გამარჯვება.

მაგრამ გავიდა დრო, ტანვარჯიში, თან და თან, დაემხო, — დაემხო ბრწყინვალე საბერძნეთი და კაცობრიობაში ტანვარჯიშის მოყვარეობასთან ერთად შესუსტდა მაღალი გრძნობა სილამაზისა. დაიწყო ტანვარჯიშისათვის ბნელი დრო... ხოლო, ბევრ საუკუნეთა განმავლობაში, შემცდარი კაცო-

ბრიობა განცვიფრებით და გულმოდგინეთ სწავლობდა ძველ ბერძნების, ეგრეთ წოდებულ, კლასიკური ხანის ყოფილ ბრწყინვალეობას, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ ამისი დედა ღერძი ხალხში გავრცელებული ტანვარჯიში იყო.

პირველი, რომელმაც ხელ ახლავ აღიარა ტანვარჯიშის დიადი მნიშვნელობა, იყო საფრანგეთის მე-18-ტე საუკუნეში ცნობილი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო. „ჩვენ დროშიაც“—ლაღაღებდა იგი. „ტანის განვითარება იმდენადვე საჭიროა კაცისათვის, რამდენათაც გონებისაო. საღი სული საღ სხეულშიღა თავსდებაო!“ იმის აქეთ, თან და თან, თუმცა ძალიან ნელი ნაბიჯით, შემოდის ტანვარჯიშობა მოწინავე ქვეყნებში; იზრდება კაცობრიობაში მოვარჯიშეთა რაზმის რიცხვი, თუმცა ტანვარჯიშის ნამდვილი აყვავებამდის, ჯერ კიდევ ძალიან შორს არის!

საბედნიეროთ, ამ საკითხში, არც ჩვენი პატარა საქართველო დარჩენილა გარიყული. 20 წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ „სოკოლებს“ მეთაურობით, შემოვიდა ჩვენში, გიმნაზიებში, ტანვარჯიშის სწავლება. მაგრამ ჩვენი ერის მიერ ტანვარჯიშის შემოდების ნამდვილი დღეთ უნდა ჩაითვალოს 1918-ის 25 მარტიმდის თვე, როცა გაიხსნა თბილისში პირველი ქართული სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“.

ქართველები უწინაც განთქმულნი იყვნენ თავისი სიკობტავ-სიმარდ-სიმამაცით. ეხლა კი, იმედია, ტანვარჯიშით გაწვრთნილი ჩვენი ხალხი აღორძინდება, ამაღლდება და დაანახებს კაცობრიობის ტანის და სულის ნამდვილი სიმშვენიერის მაგალითებს. ტანვარჯიში ჩვენ იმისთანა განვითარებას და შეძლებას მოგვცემს, რომ მომავალში ჩვენი პაწია საქართველო, ძველი ბერძნებისავით, არც ერთ ძლიერ მტერს აღარ შეუშინდება და თავის ნორჩ თავისუფლებაზე მიტანილ მტრის იერიშებს ადვილათ მოიგერიებს. ქართველ შევარდენთა პირველი დღესასწაული მოხდა ამა წლის 28 აპრილს სახელმწიფო თეატრში და თავის მშვენიერებით ყველა დამ-

სწრენი, პირდაპირ აღტაცებაში მოიყვანა. საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი ამა წლის 26 მაისი შევარდნებმა დიდებული ზემით შეამკეს. „ვაკეში“ გამართულ მათ ტანვარჯიშობას ასი ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ამიერიდან, ცხადია, რომ ყოველი ქართველი დიდი იყოს იგი, თუ პატარა, რომელსაც თავის სამშობლოს აყვავება სურს, მოვალეა მიიღოს „შევარდენში“ მედგარი მონაწილეობა და თავისი მუშაობით ჩვენში ტანვარჯიშის გავრცელებას შეუწყოს ხელი. კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ „შევარდენის“ აყვავება საქართველოს აყვავებას მოასწავებს, ხოლო „შევარდენის“ დამხობა კი—საქართველოს დამცირებას! მაშ გაუმარჯოს ჩვენს შევარდნებს და, მათთან ერთად, საქართველოს!...

გ. ნიკოლაძე.





## + ლუარსაბ ბოცვაია.

(1865. — 1919 წელ.).

**ღ**რიან ისეთი წყნარი, უჩინარი მუშაკნი, რომელთაც ვერც კი ამჩნევენ, ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ეს ადამიანი დიდ საქმეს აკეთებს, რომ მისი დაკარგვა მძიმე და საგრძნობელია. ბევრმა, სულ ბევრმა არც კი იცის როგორია ეს კაცი, და როდესაც მოკვდება, ხშირად კითხულობენ: ნეტავი რომელი იყო.

მოკვდა ასეთი მუშაკი და მაშინათვე გრძნობ, რომ მოგაკლდა დიდი ძალა, რომელიც ამოძრავებდა საზოგადო საქმეს. შესდგა მანქანა ამოდენახანს ასე კარგად მოწყობილი, იმას კი ველარ ხედავდი, თუ ვინ ამოძრავებდა ამ მანქანას.

ვინ იყო მისი სულის ჩამდგმელი.

მასწავლებელი ლუარსაბ ბოცვაძე აი ასეთი უჩინარი, მაგრამ დიდი მუშაკი იყო. ერთი რდით გამსჭვალული, ერთი სიყვარულით აღსავსე ის აკეთებდა დიდ საქმეს, აშენებდა ჩვენ სკოლას. ის იყო ნამდვილი პედაგოგი-მასწავლებელი. ძლიერ ძნელი და მძიმეა მასწავლებლის მოღვაწეობა და მით უფრო დასაფასებელია ის ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ამ საქმეს და მერმე რანაირ დროში, როდესაც ქართული სკოლა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი მასწავლებელი ლუარსაბი იყო, მძიმე პირობებში იმყოფებოდა.

ლუარსაბი იყო პრაქტიკი—პედაგოგი. ის ცხოვრებაში ახორციელებდა იმას, რაც კი შეეძინა საუკეთესო მსოფლიო პედაგოგებისაგან. მას არ ავიწყდებოდა ჩვენი პედაგოგიაც: ის სთარგმნიდა, სწერდა, სხვა და სხვა პედაგოგიურ ნაწარმოებს. მან დააარსა ქართული პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, სადაც არკვევდა სხვა და სხვა პედაგოგიურ საკითხებს.

ის ცდილობდა დახმარებოდა ახალგაზრდა მასწავლებლებს, გაეღვილებინა მათთვის მძიმე საქმე მასწავლებლისა. ძნელია ჩამოითვალოს მისი მუშაობა. მთელი სიცოცხლეს ატარებდა. მუშაობაში. მგონი არავის არ უნახავს ლუარსაბი დასვენებული, უსაქმოთ.

სადაც კი რამე ეხებოდა განათლების საქმეს, წიგნების გამოცემას, სკოლას—ლუარსაბი იქ გაჩნდებოდა, ის მუშაობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სხვა და სხვა კომისიებში, აწყობდა საზაფხულო კურსებს სოფლის მასწავლებლებისათვის, ადგენდა წიგნებს, ასწორებდა სახელმძღვანელოებს. ვინ ჩამოსთვლის, როგორ მოუსვენრათ დასტრიალებდა იგი ჩვენს სკოლას, ჩვენ ახალგაზრდა თაობას.

ლუარსაბს უყვარდა ბავში, ესმოდა ბავშვის სული.

ერთმა ყოფილმა მისმა ამხანაგმა მითხრა „ჯერ სემინარიაში რო ვსწავლობდით, ლუარსაბს ძლიერ უყვარდა ის სურათი, სადაც იესო ქრისტე პატარა ბავშვებთან არის. ეს მშვენიერი სურათი ხშირად გამოიწვევდა მასში აღტაცებას და ლუარსაბი იტყოდა: მე მასწავლებლათ უნდა გამოვიდეთ“.

ამაში რაღაც სილამაზე არის.

ა—ა.







## ინლოელი იბაჰეზი.

ძვირფასი ქვა დავარდნილი მიწაზე,— შეიძლება ავიღოთ,  
მაგრამ სიტყვა, დავარდნილი ბაგედან, არ შეიძლება უკან  
დავიბრუნოთ.

\*  
\* \*  
კაი მაგალითი სჯობია ათას სიტყვას

\* \*  
საქმელათ ერთი ხელი გვეყობა—სამუშავეთ კი ორია  
საკირო.

\* \*  
\* \*  
ლარების განძი—მისი კაი სახელია.

\* \*  
ვისაც მშვიდობა უყვარს, ის გაიმარჯვებს.

\* \*  
\* \*  
ყაწვილი უღედოთ, სულერთია რომ ნათესი უწვიმოთ.

\* \*  
\* \*  
ჩვენ ვთესავთ და სამკალს ღმერთი გვაძლევს.

მუსიკას და სიმღერას რომ დიდი გავლენა აქვს პი-  
რუტყვებზე—მეტადრე ძაღლებზე და კატებზე ეს ვიცით.  
მაგრამ ამბობენ რომ ობობები დიდი მოყვარული არიან მუ-  
სიკისა. მათ იზიდავს თურმე ძალიან ნაზი, ტკბილი ჰანგები  
და მოჯადოვებულისაგვით აღარ შორდებიან მუსიკის დამკ-  
ვრელს.

# აქოცანები



(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილის მიერ)

რა დღესაც დავიბადე,  
იმ დღიდან ვიწყობ მგზავრობას,  
თუთხმეტ დღეს კარგად ვიზრდები,  
ვემორჩილები მთავრობას.  
მერმე კი ხორცი მაკლდება,  
ვითმენ ბუნების ჯავრობას,  
ნელ-ნელა სახლში ვბრუნდები,  
ველარ ვიტან ნაფარდობას,  
და ძლიერ მისუსტებული  
ჩემი ჩრდილი ძლივს მოგოგავს.

უსულო ვარ, მაგრამ მაინც სიარული შემიძლიან,  
წყლით და ცეცხლით ვიკვებები და არა დროს არა მშინ,  
სტუმრები, ვანც კი გამიცნო, ჩემსკენ მოეშურებიან,  
გავასიერებ ბინამდის და იქ კი მეფანტებიან.

ვერც თვალით დაინახება,  
ვერცა მისწვდები ხელითა,  
მხოლოთ მიაგნობ იმის კვალს,  
საითკენ მივბის ფრენითა,  
ვერც სირბილით მოეწევი,  
ვერც მარბენალი ცხენითა.

პატარა ვარ, არათ მაგდებთ,  
ცეცხლს ვაგვიჩენთ—ამოგავდებთ.

## შ ა რ ა ლ ი.

(მისგანვე წარმოდგენილი)

პირველი—ღრმა ორმოა,  
ბოლოს მოუსვით „ნარი“,  
დანარჩენი მზიანი  
და უწვიმო დღე არი,  
მრთელი—ტოტებ გაშლილი,  
დიდი ხეა ერთ გვარი.

მადლობას უძღვნი რომ „ჯეჯილი“ დამიმთავრა ასოთ-  
ამწყობმა. ანთიმოზ ი. კალანდარიშვილმა.



1919 წ.

საგაზეთო ნახაზებიანი ჟურნალი

წელიწადი 30 | **ჯეჯილი** | წელიწადი 30

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ.

1919 წ. (შეერთებულია 1918 წლის ნომრებთან) გამოვა არა ნაკლებ ექვსი წიგნისა. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მალაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილერის ქუჩა, № 5.

**ჟურნალი** წლიურათ ღირს 20 მ. ცალკე ახალი ნომერი 5 მან. ძველი წლების ჟურნალი თითო წლისა ეღირება 10 მ. განახლებულ ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.

ხელმძღვანელთა ახლათ შემდგარი კომისია (პრ. შარაშიძე, აღ. ფალავა, ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი) და ნ. ჩაგუნავა—გელაშვილი,) შეეცდება ჟურნალის ნორმ მკითხველებს მიაწოდოს საღი გონებრივი საზრდო.

ფოსტის აღრესი: თბილისი, საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის“ რედაქცია.

რედაქტორ—გამომცემელი ან. წერეთლისა.